



## თორნიკე თურმანიძე

„სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტის დარეგულირების მექანიზმის  
მოკლე ისტორია: 1992-2008 წწ.\*

2009

„სამხრეთ ოსეთის“ ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე 1991-1992 წლებში პერიოდული ინტენსივობით წარმოებული საომარი მოქმედებების შეწყვეტისაკენ მიმართული პირველი ნაბიჯი იყო 1992 წლის 10 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მეთაურის **ელუარდ შევარდნაძისა** და ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის **ანსარბეკ გალაზოვის** შეხვედრა დაბა ყაზბეგში, ხოლო 1992 წლის 24 ივნისს ქ. სოჭში (დავოშისში) **ელუარდ შევარდნაძემ** და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ბორის ელცინმა** ხელი მოაწერეს სახელმწიფოთაშორის შეთანხმებას „ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების პრინციპების შესახებ,“ რომლის მიხედვითაც საქართველოს რესპუბლიკამ და რუსეთის ფედერაციამ აიღეს ვალდებულებები:

\* ნარკვევი დაფუძნებულია 1992-2008 წლებში „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტის მოწესრიგების საერთაშორისო მექანიზმის ფარგლებში მიღებულ ოფიციალურ დოკუმენტებზე, რომლებიც თავმოყრილია რეგიონალიზმის კვლევის ცენტრის ვებსაიტზე [www.rrc.ge](http://www.rrc.ge).

- მეომარ მხარეებს სრულად შეეწყვიტათ საომარი მოქმედებები 1992 წლის 28 ივნისისთვის და გამოეყვანათ საკუთარი შეიარაღებული ფორმირებები ცეცხლის ხაზზე კორიდორის შექმნის მიზნით;
- კონფლიქტის რაიონის დემილიტარიზაციისათვის და რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების კონფლიქტში ჩართვის თავიდან ასაცილებლად, რუსულ მხარეს გამოეყვანა ცხინვალიდან 37-ე საინჟინრო-მესანგრეთა პოლკი და 292-ე ცალკეული საბრძოლო ვერტმფრენების პოლკი მომარაგებისა და მომსახურების დანაყოფებთან ერთად;
- ცეცხლის შეწყვეტაზე, შეიარაღებული ფორმირებების გაყვანაზე, მოხალისეთა რაზმების გაუქმებასა და უსაფრთხოების რეჟიმის შენარჩუნებაზე კონტროლისათვის, შექმნილიყო **შერეული საკონტროლო კომისია** კონფლიქტში ჩართული მხარეების მონაწილეობით, რომელიც თავის ფუნქციებს სამხედრო დამკვირვებლებთან ერთად განახორციელებდა და თანაბრად დაფინანსდებოდა მხარეების მიერ;
- მშვიდობის შესანარჩუნებლად და მართლწესრიგის დასაცავად, **შერეულ საკონტროლო კომისიასთან** ჩამოყალიბებულიყო **შერეული სამშვიდობო ძალები**;
- შეთანხმების პირობების დარღვევის შემთხვევაში, **შერეულ საკონტროლო კომისიას** ჩაეტარებინა გამოძიება და მიეღო ზომები მშვიდობისა და მართლწესრიგის აღსადგენად, აგრეთვე მსგავსი დარღვევების არდასაშვებად;
- მხარეებს დაუყოვნებლივ დაეწყოთ მოლაპარაკებები დაზარალებული რაიონების ეკონომიკური რეაბილიტაციისა და კონფლიქტის ზონაში დევნილების დაბრუნებისათვის პირობების შექმნის მიზნით. ამასთან, მხარეებმა დაუშვებლად მიიჩნიეს ეკონომიკური სანქციებისა და ბლოკადის გამოყენება, საქონლისა და მომსახურების თავისუფალი ბრუნვისათვის სხვა დაბრკოლებების შექმნა, ასევე მოსახლეობისათვის ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენის პირობა დადეს.

1992 წლის 4 ივლისს მხარეთა წარმომადგენლები ქ. ვლადიკავკასში შეხვდნენ ერთმანეთს და სოჭის (დაგომისის) შეთანხმების რეალიზაციის მიზნით **შერეული საკონტროლო კომისია** დააფუძნეს/დააკომპლექტეს. კომისიის ფუნქციებში, როგორც ეს შეთანხმებაში იყო აღნიშნული, პირველ ყოვლისა შევიდა კონტროლის დაწესება ცეცხლის შეწყვეტაზე, შეიარაღებული ფორმირებების გაყვანაზე, მოხალისეთა რაზმების გაუქმებასა და უსაფრთხოების რეჟიმის შენარჩუნებაზე, ასევე **შერეული სამშვიდობო ძალების** ფორმირება, რომლებიც **შერეულ საკონტროლო კომისიას** დაექვემდებარებოდნენ. ამას გარდა, შეხვედრაზე გადაწყდა **შერეული სამშვიდობო ძალების** გამოყენების სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავება, ეკონომიკური რეაბილიტაციისა და დევნილთა დაბრუნების საკითხებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფის გამოყოფა და კომისიასთან სპეციალური მრავალმხრივი პრეს-ცენტრის ჩამოყალიბება.

1992 წლის 4 ივლისსვე გაიმართა **შერეული საკონტროლო კომისიის** პირველი სხდომა, რომელმაც სამი გადაწყვეტილება მიიღო:

1. **შერეული სამშვიდობო ძალების** ფორმირების შესახებ 1500 კაცის შემადგენლობით (+ 900 კაცი რეზერვი), სადაც შევიდა 500 სამხედრო მოსამსახურე საქართველოს მხრიდან (+ 300 რეზერვი), 500 სამხედრო მოსამსახურე რუსეთის ფედერაციის მხრიდან (+ 300 კაცი რეზერვი) და 500 სამხედრო მოსამსახურე ოსური მხრიდან (+ 300 კაცი რეზერვი). დაინიშნენ უფროსი სამხედრო მეთაურები სამივე მხრიდან. გადაწყდა ასევე **შერეული სამშვიდობო ძალების შტაბის** ჩამოყალიბება;
2. **დამკვირვებელთა ერთობლივი ჯგუფის** შექმნის შესახებ, რომელსაც გადაეცა ორი „მი-8“ ტიპის ვერტმფრენი, სამი ჯავშანტრანსპორტიორი, სამი „უაზ“-ის ტიპის ავტომანქანა, ასევე შესაბამისი აღჭურვილობა და შეიარაღება **შერეული საკონტროლო კომისიის** მიერ დადგენილი ამოცანების შესასრულებლად;

3. მრავალმხრივი პრეს-ცენტრის დაფუძნების შესახებ, რომელსაც კონფლიქტის დარეგულირების პროცესთან დაკავშირებული მოვლენების ობიექტურად გაშუქება დაევალა.

1992 წლის 6 ივლისს, შერეული საკონტროლო კომისიის მეორე სხდომაზე შეიქმნა შერეული სამშვიდობო ძალების შტაბი და განისაზღვრა მისი სტრუქტურა/შემადგენლობა.

1992 წლის 12 ივლისს, შერეული საკონტროლო კომისიის მესამე სხდომაზე დამტკიცდა შერეული სამშვიდობო ძალების დებულება და დადგინდა შემდეგი არეალების საზღვრები:

- კონფლიქტის ზონა – ტერიტორია ქ. ცხინვალის ცენტრიდან გარშემო 15 კმ რადიუსში;
- უსაფრთხოების კორიდორი – ტერიტორია „სამხრეთ ოსეთის“ ყოფილი ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ 14 კმ რადიუსში (7 კმ საზღვრიდან ორივე მხარეს).

**შერეული სამშვიდობო ძალების ფუნქციები კი შემდგენიარად განისაზღვრა:**

1. მშვიდობის აღდგენა და წესრიგის შენარჩუნება როგორც კონფლიქტის ზონაში, ისე უსაფრთხოების კორიდორში, მათ შორის იარაღის გამოყენებით;
2. კონფლიქტის ზონასა და უსაფრთხოების კორიდორში უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებებისა თუ ბანდოქორმირებების არდაშვება, გაუვნებელყოფა და მოსახლეობის დაცვა;
3. კონფლიქტის ზონასა და უსაფრთხოების კორიდორში შეიარაღების, სამხედრო ტექნიკისა და ტერორისტული თუ დივერსიული მიზნებისათვის გამოსაყენებელი სხვა საშუალებების შეტანის აკრძალვა;
4. კონფლიქტის ზონასა და უსაფრთხოების კორიდორში საგანგებო რეჟიმის დაცვა (პატრულირება, ბლოკ-საგუშაგოების ორგანიზება, მოსახლეობისა და ტრანსპორტის შემოწმება, და ა.შ.) და ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოებისადმი დახმარების გაწევა.

**შერეული სამშვიდობო ძალების საქმიანობის კანონიერებაზე ზედამხედველობა** რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურებს დაევალებათ.

1992 წლის 14 ივლისს კონფლიქტის ზონაში **შერეული სამშვიდობო ძალების** პირველი რუსული და ქართული სამშვიდობო ბატალიონები შეიყვანეს, ხოლო 15 ივლისს პირველი ოსური სამშვიდობო ბატალიონი შეიქმნა.

1993 წლის 14 სექტემბერს ქ. მოსკოვში, საქართველოს რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციის მთავრობებს შორის გამართული მოლაპარაკებების შედეგად, ხელი მოეწერა შეთანხმებას „ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის რაიონების ეკონომიკური რეაბილიტაციის შესახებ“, რომელიც თითოეული მხარის მიერ ომით დაზარალებულ რაიონებში ეკონომიკური ინფრასტრუქტურის აღსადგენად და დევნილთა დასახლებულად პირობების შექმნისათვის 1993-1997 წლების მანძილზე გარკვეული ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყოფას ითვალისწინებდა.

1994 წლის 14 ივნისს ქ. ვლადიკავკაზში, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენციის\* ეგიდით, კონფლიქტში მონაწილე მხარეთა წარმომადგენლებს შორის შეხვედრა მოეწყო, სადაც მათ **შერეული საკონტროლო კომისიის** შეხვედრების აღდგენის

\* ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენცია ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციად (ეუთო) 1995 წლის 1 იანვრიდან გადაკეთდა.

სურვილი გამოხატეს (შეხვედრები 1992 წლის აგვისტოდან, აფხაზეთის ტერიტორიაზე საომარი მოქმედებების დაწყების შემდგომ იყო შეწყვეტილი).

1994 წლის 5 ივლისს საქართველოს რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციის მთავრობებმა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის ეკონომიკური რეაბილიტაციისათვის ერთობლივი ორგანოს – განმკარგულებელი საბჭოს – შექმნა გადაწყვეტეს.

1994 წლის 26 ივლისს საქართველოს რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციის მთავრობებმა **შერეული საკონტროლო კომისიის** დებულების პროექტი შეიმუშავეს.

1994 წლის 31 ოქტომბერს ქ. მოსკოვში მხარეებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას „ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების პროცესის შემდგომი განვითარებისა და შერეული საკონტროლო კომისიის შესახებ“, რომლითაც **შერეული საკონტროლო კომისია** *ოთხმხრივ* მუდმივმოქმედ ორგანოდ გარდაიქმნა – ანუ კომისიის ქართულ, რუსულ და „სამხრეთ ოსურ“ მხარეებს, ჩრდილოეთ ოსური მხარეც დაემატა. კომისიის მუშაობაში ჩაერთო ასევე ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენციის მისია საქართველოში. დამტკიცდა 1994 წლის ივლისში შემუშავებული **ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების შერეული საკონტროლო კომისიის** დებულება, რომლის თანახმადაც:

- **შერეული საკონტროლო კომისიის** უმაღლეს საორგანიზაციო ინსტანციად დასახელდა პლენარული სხდომები მხარეთა სრულუფლებიანი წარმომადგენლების ანუ მხარეთა დელეგაციების ხელმძღვანელებისა და კომისიის სხვა წევრების მონაწილეობით.
- **შერეული საკონტროლო კომისიის** ფუნქციებში და ამოცანებში შევიდა:
  1. მხარეთა შორის მიღწეული შეთანხმებების შესრულებაზე კონტროლი, წინადადებების შემუშავება და მათი რეალიზაციისათვის შესაბამისი ზომების მიღება;
  2. მხარეთა შორის წარმოქმნილი პოლიტიკური, სამხედრო (სამშვიდობო), სამართალდამცავი, ეკონომიკური, ჰუმანიტარული, საინფორმაციო და სხვა პრობლემების გადაჭრისაკენ მიმართული ღონისძიებების გატარება;
  3. კონფლიქტის პოლიტიკური დარეგულირებისა და დიალოგის შემდგომი გაგრძელებისათვის ხელის შეწყობა;
  4. დენილთა (იძულებით გადაადგილებულ პირთა) დაბრუნებისა და კეთილმოწყობისათვის კომპლექსური ზომების მისაღებად მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევა და სისრულეში მოყვანა – გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მონაწილეობით;
  5. კონფლიქტის ზონის ეკონომიკური რეაბილიტაციის პრაქტიკული განხორციელების მხარდაჭერა;
  6. ადამიანის (ეთნიკური უმცირესობების) უფლებების დაცვაზე ზედამხედველობის დაწესება;
- ზემოჩამოთვლილი ამოცანების შესასრულებლად, **შერეულ საკონტროლო კომისიაში** ოთხი სამუშაო ჯგუფი ჩამოყალიბდა, რომლებიც განიხილავდნენ:
  1. პოლიტიკურ საკითხებს;
  2. მშვიდობის, უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის შენარჩუნების საკითხებს;
  3. კონფლიქტისაგან დაზარალებული რაიონების ეკონომიკური რეაბილიტაციის საკითხებს; და

4. ჰუმანიტარული დახმარებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა მათ საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნების საკითხებს.

- **შერეულ საკონტროლო კომისიას** დაევალოს აგრეთვე **შერეული სამშვიდობო ძალებისა** და მხარეთა მიერ დანიშნული სამხედრო დამკვირვებლების საქმიანობის კოორდინაცია, კონფლიქტის ზონაში შექმნილი ვითარების რეგულარულად შეფასება და ამის შესახებ მასმედიისათვის ინფორმაციის მიწოდება;
- **შერეული სამშვიდობო ძალების** სარდლობის კომპეტენციას კი დაემატა, მშვიდობისა და მართლწესრიგის შესანარჩუნებლად, კომისიისათვის წინადადებების წარდგენა სამშვიდობო კონტინგენტის ოპერატიული გამოყენებისა და ორგანიზაციული სრულყოფის საჭიროების თაობაზე;
- **შერეულ საკონტროლო კომისიის** წევრებს დიპლომატიური პრივილეგიები და იმუნიტეტები, აგრეთვე კონფლიქტის ზონაში თავისუფალი გადაადგილების უფლება მიენიჭათ;
- **შერეულ საკონტროლო კომისიის** სამუშაო ენად რუსული დასახელდა;
- კომისიის სხდომებზე გადაწყვეტილებების მიღების წესად მხარეთა კონსენსუსი შეირჩა;
- კომისიის სხდომების გამართვის შემდგენილი გრაფიკი შედგა: ყოველი საჭიროებისამებრ და კვარტალში არანაკლებ ერთხელ. სხდომის თავმჯდომარედ მხარეთა წარმომადგენლები რიგ-რიგობით აირჩეოდნენ;
- მხარეებმა თანაბრად იკისრეს კომისიის მუშაობის დაფინანსება.

1994 წლის 6 დეკემბერს ქ. მოსკოვში მხარეები **შერეული სამშვიდობო ძალების სარდლის** პოსტის შემოღებაზე შეთანხმდნენ, რომელსაც ამიერიდან რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მიერ შემოთავაზებული კანდიდატი დაიკავებდა, **შერეული საკონტროლო კომისიის** თანხმობით. ამავე შესვედრაზე შემუშავდა და დამტკიცდა დებულება „ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სიტუაციის ნორმალიზაციისათვის განკუთვნილი სამხედრო კონტინგენტებისა და სამხედრო დამკვირვებლების საქმიანობის ძირითადი პრინციპების შესახებ“, რომლითაც **შერეული სამშვიდობო ძალების** ფუნქციები და უფლებები ხელმეორედ განისაზღვრა:

- მხარეთა მიერ არაკონტროლირებადი შეიარაღებული ფორმირებების დაშლა და მათი ქმედებების აღკვეთა, ჯგუფური, მათ შორის სამხედრო კონფლიქტების მყისიერად ღარიგულირება;
- კონფლიქტის ზონაში, და საჭიროების შემთხვევაში მის მიმდებარე ტერიტორიაზეც, უსაფრთხოების რეჟიმის მისაღწევად და შესანარჩუნებლად ზომების გატარება;
- კონფლიქტის ზონიდან მძიმე ტექნიკის გაყვანის თაობაზე დადებული შეთანხმებების შესრულების გაკონტროლება;
- კონფლიქტის ზონაში შეიარაღებული და სხვა არაკონტროლირებადი დაჯგუფებების არდაშვება, რომლებმაც სიტუაციის დესტაბილიზაცია შეიძლება გამოიწვიონ;
- კონფლიქტის ზონაში უნებართვო შეიარაღების, სამხედრო ტექნიკის, ასაფეთქებელი და მომწამლავი ნივთიერებების, აგრეთვე ტერორისტული, დივერსიული თუ საომარი მოქმედებისათვის გამიზნული სხვა საშუალებების აკრძალვა;

- კონფლიქტის ზონის ტერიტორიაზე დადგენილ ადგილებში ადამიანების, ტრანსპორტისა და ტვირთების გატარება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში გაჩერება და შემოწმება;
- კონფლიქტის ზონაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მართლწესრიგის დამყარებასა და დამნაშავეობასთან ბრძოლაში სამართალდამცავი ორგანოებისადმი დახმარების გაწევა;
- სამხედრო ზედამხედველობა (პატულირება, საგუშაგოების, სათვალთვალო პუნქტების, ჩასაფრებების მოწყობა და ა.შ.);
- კონფლიქტის ზონაში საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დამრღვევი შეიარაღებული ბანდოორმირებების, დაჯგუფებებისა და პიროვნებების ღებნა, დაკავება და, წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, ლიკვიდაცია;
- გაერთიანებული სამხედრო სარდლობის ბრძანებით, საბრძოლო მოქმედებების წარმოება მოტომსროლელთა ქვედანაყოფებზე რიცხული შეიარაღებით;

აღნიშნული დებულებით დადგინდა ასევე **შერეული სამშვიდობო ძალების** საორგანიზაციო-სამშტატო სტრუქტურა, საცხოვრებელი პირობები, კავშირგაბმულობის საშუალებები, ქცევის კოდექსი, სიმბოლიკა, და ა.შ.

**შერეული სამშვიდობო ძალების სარდლის** უშუალო ფუნქციებში კი შევიდა:

- **შერეული სამშვიდობო ძალების** ქმედებების მხარეთა წარმომადგენლებთან და სამართალდამცავ ორგანოებთან კოორდინაცია;
- **შერეული სამშვიდობო ძალებისათვის** დასახული ამოცანების მხარეთა სამხედრო მეთაურების ურთიერთშეთანხმებული მოქმედებით შესრულება;
- მხარეთა სამხედრო კონტინგენტების მიერ **შერეული სამშვიდობო ძალების** დებულების შესრულების უზრუნველყოფა;
- კონფლიქტში მონაწილე მხარეთა წარმომადგენლების მიერ მძევლების აყვანის თავიდან აცილება და აღკვეთა;
- შეიარაღებული კონფლიქტის საფრთხის წარმოშობის შემთხვევაში **შერეული სამშვიდობო ძალების** ქვედანაყოფების გამოყენება;
- კონფლიქტის ზონაში შექმნილ ვითარებაზე **შერეული საკონტროლო კომისიის** სისტემატურად ინფორმირება და **შერეული სამშვიდობო ძალების** საქმიანობის გასაუმჯობესებლად წინადადებების წარმოდგენა;

1994 წლის 6 დეკემბერს **შერეულმა საკონტროლო კომისიამ** თხოვნით მიმართა რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებას, 1995 წლიდან თავის თავზე აეღო **შერეული სამშვიდობო ძალების** ოსური ბატალიონის ფინანსური უზრუნველყოფა, რაც დაკმაყოფილდა.

1994 წლის 6 აპრილს ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენციამ, თბილისსა და ცხინვალში გამართული შეხვედრების შედეგად, „სამხრეთ ოსეთის“ სტატუსის პროექტი წარმოადგინა, რომელიც სთავაზობდა მხარეებს, შეთანხმებულიყვნენ აღნიშნული ტერიტორიის ფართო ავტონომიურ სტატუსზე საქართველოს შემადგენლობაში. „სამხრეთ ოსეთის“ დე ფაქტო ხელისუფლების უარის გამო პროექტი არ მიიღეს.

1995 წლის 9 ივნისს **შერეული საკონტროლო კომისიის** მეოთხე სხდომაზე რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტებიდან იმ წლისათვის კონფლიქტის ზონის რეაბილიტაციაზე გარკვეული თანხების გამოყოფა გადაწყდა. მხარეები შეთანხმდნენ აგრეთვე, რომ ოსური სამშვიდობო ბატალიონის ხელმძღვანელ პირებად

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები, უპირატესად ოსური წარმოშობის სამხედრო მაღალჩინოსნები დაინიშნებოდნენ.

1995 წლის 19-20 ივლისს **შერეული საკონტროლო კომისიის** მეხუთე სხდომაზე მხარეები კონფლიქტის ზონაში აღდგენითი სამუშაოების პროგრამის შემუშავებასა და კონფლიქტის ფართომასშტაბიანი დარეგულირების მიზნით მაღალი დონის შეხვედრის გამართვის საჭიროებაზე შეთანხმდნენ.

1995 წლის 31 ოქტომბერსა და 13 დეკემბერს, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) ინიციატივით, ვლადიკავკაზსა და მოსკოვში მხარეთა პოლიტიკური ექსპერტების შეხვედრები გაიმართა, რომლებზეც უსაფრთხოებისა და ურთიერთდობის საკითხებზე მემორანდუმის პროექტი შემუშავდა.

1996 წლის 16 მაისს ქ. მოსკოვში, რუსეთის ფედერაციისა და ეუთო-ს შუამავლობით, ქართულმა და „სამხრეთ ოსურმა“ მხარეებმა ხელი მოაწერეს მემორანდუმს „უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ურთიერთდობის განმტკიცებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ“, რომლითაც კონფლიქტში მონაწილე მხარეები შეთანხმდნენ:

- უარი ეთქვათ ერთმანეთის მიმართ ძალის გამოყენებასა და ძალით დამუქრებაზე, ასევე პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა სახის ზეწოლის განხორციელებაზე;
- მიეღოთ ყველა საჭირო ზომა ნებისმიერი სახის მართლსაწინააღმდეგო ქმედებისა და ეთნიკური ნიშნით ადამიანთა დევნის თავიდან ასაცილებლად და აღსაკვეთად;
- გადაეღათ ქმედითი ნაბიჯები ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემის მოსაგვარებლად;
- არ გაეგრძელებინათ სისხლის სამართლებრივი დევნა კონფლიქტში მონაწილე იმ ადამიანებზე, რომლებსაც არ ჩაუდენიათ სამხედრო დანაშაული ან დანაშაული სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ;
- ხელი შეეწყოთ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა შემდგომი რეგულარული შეხვედრებისათვის კრიმინალური ვითარების გამოსასწორებლად;
- კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოგვარების გზაზე წინსვლის კვალდაკვალ განხორციელებინათ კონფლიქტის ზონის ეტაპობრივი დემილიტარიზაცია, სადაც მხოლოდ სამშვიდობო ძალებს ექნებოდათ ყოფნის უფლება;
- გაეგრძელებინათ მუშაობა **შერეული საკონტროლო კომისიის** ფორმატში, რათა თანდათან **შეემცილებინათ შერეული სამშვიდობო ძალების** ბლოკ-საგუშაგოები კონფლიქტის ზონაში მოსახლეობის უსაფრთხოების ინტერესების გათვალისწინებით;
- ხელი შეეწყოთ საერთაშორისო, მათ შორის არასამთავრობო, ორგანიზაციების ეგიდით ქართული და ოსური პოლიტიკური, საზოგადოებრივი, სამეცნიერო, ყურნალისტური, შემოქმედებითი და სხვა წრეების წარმომადგენელთა შეხვედრების გამართვისათვის;
- გაეგრძელებინათ მოლაპარაკებები კონფლიქტის სრულმასშტაბიანი პოლიტიკური დარეგულირების მისაღწევად.

1996 წლის 23-24 ივლისს **შერეული საკონტროლო კომისიის** მეექვსე სხდომაზე მხარეებმა კონფლიქტის ზონის საქართველოს მხრიდან გაზით მომარაგებისა და სამშენებლო სამუშაოების დაფინანსების გაგრძელების გადაწყვეტილება მიიღეს.

1996 წლის 27 აგვისტოს ქ. ვლადიკავკაზში საქართველოს პრეზიდენტის **ედუარდ შევარდნაძისა** და „სამხრეთ ოსეთის“ დე ფაქტო პრეზიდენტის **ლუდვიგ ჩიბიროვის** პირველი შეხვედრა შედგა, რომელზეც მათ დადებითად შეაფასეს 1992 წლიდან კონფლიქტის ზონაში

ვითარების განმუხტვისაკენ გადადგმული ნაბიჯები, მათ შორის 1996 წლის 16 მაისის მემორანდუმის ხელმოწერა და, კონფლიქტის სრულმასშტაბიანი პოლიტიკური მოგვარების მიზნით, ორმხრივი კონტაქტების გაღრმავებაზე, ასევე მსგავსი შეხვედრების რეგულარულად გამართვაზე შეთანხმდნენ.

1996 წლის 23 ოქტომბერს **შერეული საკონტროლო კომისიის** ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრაში პირველად მიიღო მონაწილეობა გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის დელეგაცია.

1997 წლის 13 თებერვალს **შერეული საკონტროლო კომისიის** მეშვედვ სხდომაზე, კონფლიქტის ზონაში ვითარების შედარებითი სტაბილიზაციის გათვალისწინებით, მხარეებმა 13 დასახლებულ პუნქტში ბლოკ-საგუშაგოების რაოდენობის შემცირება გადაწყვიტეს და მართლწესრიგის უზრუნველყოფის ფუნქციების ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოებისადმი გადაცემის შესაძლებლობაზე იმსჯელეს. აღნიშნულ შეხვედრაზე ასევე მიიღეს „ქართულ-ოსური კონფლიქტის შედეგად ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ადრინდელ საცხოვრებელ ადგილებზე ნებაყოფლობითი დაბრუნების წესი,“ რომლის თანახმადაც მხარეებმა ვალდებულება აიღეს, უზრუნველყონ:

- ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებული პირებისათვის ადრინდელ საცხოვრებელ ადგილებზე ნებაყოფლობითი დაბრუნების უფლება;
- მათი უფლებებისა და თავისუფლებების, უსაფრთხოებისა და ღირსების დაცვა (რაც არ გავრცელდებოდა სერიოზული დანაშაულის ჩამდენ პირებზე);
- მათი საკუთრების უფლების დამტკიცება კონფლიქტის შედეგად დაკარგულ ქონებაზე;
- მათი თავისუფლად გადაადგილების უფლება; და ა.შ.

1997 წლის 4-5 მარტს ქ. მოსკოვში, ქართულ-ოსური კონფლიქტის სრულმასშტაბიანი დარეგულირების საკითხის განსახილველად, საქართველოს ხელისუფლებისა და „სამხრეთ ოსეთის“ დე ფაქტო ხელისუფლების საგანგებო დელეგაციების შეხვედრა გაიმართა, რუსეთის, ჩრდილოეთ ოსეთისა და ეუთო-ს წარმომადგენლების მონაწილეობით, რომელზეც მხარეები **შეგარდნაძე-ჩიბიროვის** შეხვედრის საფუძველზე ჩამოყალიბებული სრულუფლებიანი დელეგაციების შემდგომი მუშაობის წესზე და, ორმხრივი ურთიერთობების საბოლოოდ მოგვარების მიზნით, დიალოგის ამ პარალელურ ფორმატშიც წარმოებაზე შეთანხმდნენ.

1997 წლის 26 სექტემბერს **შერეული საკონტროლო კომისიის** მერვე სხდომაზე მხარეებმა კომისიასთან არსებული ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ადრინდელ საცხოვრებელ ადგილებზე ნებაყოფლობითი დაბრუნების ხელშემწყობის სპეციალური კომიტეტების შექმნა გადაწყვიტეს და მისი დებულება დაამტკიცეს, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ კომიტეტს „ქართულ-ოსური კონფლიქტის შედეგად ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ადრინდელ საცხოვრებელ ადგილებზე ნებაყოფლობითი დაბრუნების წესის“ სისრულეში მოყვანა დაევადა. აღნიშნული სპეციალური კომიტეტის მუშაობაში ეუთო და გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატიც ჩაერთვნენ. ამერიიდან კომიტეტი ყოველ თვეში ერთხელ უნდა შეკრებილიყო (1997 წელს კომიტეტის სხდომები 21 ოქტომბერს და 25 ნოემბერს შედგა). **შერეული საკონტროლო კომისიის** ამავე სხდომაზე მიიღეს დოკუმენტი მხარეთა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლობის შესახებ, რომელიც მათ კონფლიქტის ზონაში დამნაშავეების (ავტომობილების გატაცების, ნარკობიზნესისა და ა.შ.) წინააღმდეგ კოორდინირებულ ბრძოლასა და მომხდარი დანაშაულების ერთობლივად გამოძიებას ავალბდა. სხდომაზე უარყოფითად შეფასდა საქართველოსა და რუსეთს შორის ხელმოწერილი კონფლიქტის ზონის ეკონომიკური რეაბილიტაციის 1993 წლის შეთანხმების შესრულების მიმდინარეობა.

1997 წლის 14 ნოემბერს დაბა ჯავაში **ედუარდ შეგარდნაძისა და ლუდვიგ ჩიბიროვის** მეორე შეხვედრა გაიმართა, რომელზეც მათ კონფლიქტის დარეგულირების პოზიტიურ დინამიკაზე, მხარეთა შორის ტრანსპორტის, ენერგეტიკის, კავშირგაბმულობის, ჯანდაცვის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სფეროებში ჩამოყალიბებულ კონტაქტებზე, კონფლიქტის ზონის ეკონომიკური რეაბილიტაციის პროცესის გაგრძელებისა და

ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ადრინდელ საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნების აუცილებლობაზე ისაუბრეს. 1998 წელი ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების წლად გამოცხადდა. **შევარდნაძე** და **ჩიბიროვი** მათ შორის პირდაპირი სატელეფონო ხაზის ამუშავებაზე, ორმხრივი შეხვედრების რეგულარულად გამართვასა და მათ სრულუფლებიან დელეგაციებს შორის მოლაპარაკებათა მეორე რაუნდის გამართვაზეც შეთანხმდნენ.

1998 წლის 7 აპრილს, 30 სექტემბერს და 17 დეკემბერს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ადრინდელ საცხოვრებელ ადგილებზე ნებაყოფლობითი დაბრუნების ხელშეწყობის სპეციალური კომიტეტების სხდომები გაიმართა, რომლებზეც აღნიშნულ პროცესთან დაკავშირებული სხვადასხვა იურიდიული და ტექნიკური საკითხი განიხილეს.

1998 წლის 20 ივნისს ქ. ბორჯომში **ედუარდ შევარდნაძისა** და **ლუდვიგ ჩიბიროვის** მესამე შეხვედრა შედგა, რომელსაც რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე **ბორის პასტუხოვი**, ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური **ალექსანდრე ძასოხოვი**, ასევე ეუთო-სა და გაერთიანებული ერების ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შეხვედრის მონაწილეებმა კვლავ ისაუბრეს კონფლიქტის დარეგულირების პროცესის ბოლოდროინდელ პოზიტიურ დინამიკაზე, მათ შორის ზოგიერთ ქართულ და „სამხრეთ ოსურ“ საწარმოს შორის გაფორმებულ თანამშრომლობის ხელშეკრულებებზე, დადებითად შეაფასეს გაერო-ს განვითარების პროგრამის დაფინანსებით ომისაგან დაზიანებული მთელი რიგი სამოქალაქო ობიექტების აღდგენა, ასევე ევროკავშირის დანაპირები, უახლოეს მომავალში სარეაბილიტაციო თანხის გამოყოფის თაობაზე და ხაზი გაუსვეს საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მონაწილეობით კონფლიქტის ზონის ეკონომიკური რეაბილიტაციის გაგრძელების საჭიროებას. ამას გარდა, კონფლიქტით დაზარალებული რეგიონის ეკონომიკის აღდგენისათვის ბიძგის მისაცემად, **შევარდნაძე** და **ჩიბიროვი** ქართულ და „სამხრეთ ოსურ“ კომერციულ ორგანიზაციებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების განვითარებაზე და ერთობლივი საწარმოების შექმნაზე შეთანხმდნენ. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ რამდენიმე ასეული ლტოლვილი ოჯახი უკვე დაუბრუნდა თავის ადრინდელ საცხოვრებელ ადგილებს. სახელმწიფო-სამართლებრივი ურთიერთობების მოსაგვარებლად, მხარეებმა კონსულტაციების გაგრძელების გადაწყვეტილება მიიღეს.

1999 წლის 16-17 თებერვალს ქ. ვლადიკავკაზში ქართული და „სამხრეთ ოსური“ მხარეების სრულუფლებიანი დელეგაციების ექსპერტთა ჯგუფების პირველი შეხვედრა მოეწყო, რუსეთის ფედერაციის, მათ შორის ჩრდილოეთ ოსეთის, და ეუთო-ს შუამავლობით, რომელზეც კონფლიქტის სრულმასშტაბიანი პოლიტიკური დარეგულირების შესაძლებლობებზე იმსჯელეს, მაგრამ, პოზიციების განსხვავებულობის გამო, ერთიანი სარეკომენდაციო დოკუმენტი ვერ შეიმუშავეს. თუმცა, ექსპერტები მათ შორის შეხვედრების რეგულარულად გამართვის ინიციატივას მიესალმნენ.

1999 წლის 30 მარტს ქ. მოსკოვში მხარეებმა ექსპერტთა შემდგომ შეხვედრაზე განსახილველი კონფლიქტის სრულმასშტაბიანი პოლიტიკური დარეგულირებისა და პოლიტიკურ-სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ შეთანხმების (დეკლარაციის) პროექტი შეათანხმეს, რომელშიც დაუშვებლად ცხადდებოდა მხარეების მიერ კონფლიქტის დარეგულირების პროცესში ძალის, ძალის მუქარისა და პოლიტიკური თუ ეკონომიკური ზეწოლის სხვა ფორმების გამოყენება, აუცილებლობად იყო მიჩნეული 1989-1992 წლების მოვლენების სამართლებრივი შეფასება და კონფლიქტის შემდგომი პოლიტიკური მოგვარება სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისა და ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპების შესაბამისად, აღიარებული იყო მხარეთა შორის ნდობის აღდგენის, კონფლიქტის ზონის ეტაპობრივი დემილიტარიზაციის, მხარეთა სამართალდამცავ ორგანოებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების, კონფლიქტის ზონის ეკონომიკური რეაბილიტაციის გაგრძელების საჭიროება, და ა.შ.

1999 წლის 30 მარტს შედგა ასევე ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ადრინდელ საცხოვრებელ ადგილებზე ნებაყოფლობითი დაბრუნების ხელშეწყობის სპეციალური კომიტეტების მორიგი სხდომა, რომელმაც შეიმუშავა რეკომენდაცია საქართველოს პარლამენტისადმი, გარკვეული ცვლილებები შეეტანა მოქალაქეობისა და მიწის შესახებ კანონებში, ლტოლვილთა ინტერესების გათვალისწინებით.

1999 წლის 31 მარტს ქ. მოსკოვში **შერეული საკონტროლო კომისიის** მეცხრე სხდომაზე მხარეებმა მიიღეს გადაწყვეტილება „შერეული სამშვიდობო ძალების საქმიანობისა და მხარეთა სამართალდამცავი ორგანოების ურთიერთქმედების შესახებ,“ რომლის მიხედვითაც **შერეული სამშვიდობო ძალების პასუხისმგებლობის ზონის საზღვრები** დაადგინეს:

- სამხრეთიდან: გოდორას მთა, სოფ. ალი, სოფ. ქვენატკოცა, სოფ. ვარიანი, სოფ. კარალეთი, ნიშნული 958,0.
- ჩრდილოეთიდან: ლებურის მთა, ნიშნული 1653,4, სოფ. ფაწა, წიარას მთა, სოფ. ზემო ზონკარი, სოფ. ქვემო ბიყარი, სოფ. შუა ზაყორი, სოფ. იკოთი.

სხდომაზე ასევე აღინიშნა, რომ სათანადოდ არ სრულდებოდა 1993 წლის საქართველო-რუსეთის შეთანხმება კონფლიქტის ზონის ეკონომიკური რეაბილიტაციის შესახებ. ამასთან დაკავშირებით, მიიღეს ახალი, უფრო ფართომომცველი შეთანხმების პროექტი კონფლიქტის ზონის ეკონომიკური რეაბილიტაციისა და ლტოლვილთა დაბრუნების შესახებ და ეთხოვა საქართველოსა და რუსეთის მთავრობებს, გაეზარებინათ პროცედურები ამ დოკუმენტის ხელმოსაწერად. აღნიშნული პროექტი ორი ქვეყნის მიერ ომისაგან დაზარალებული რაიონების ეკონომიკური აღდგენის ერთობლივი პროგრამის შემუშავება-დაფინანსებისა და ლტოლვილთა დაბრუნებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის საკითხებს აწესრიგებდა.

1999 წლის 22 ივლისს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ადრინდელ საცხოვრებელ ადგილებზე ნებაყოფლობითი დაბრუნების ხელშეწყობი სპეციალური კომიტეტის სხდომაზე მხარეებმა ლტოლვილთა დაბრუნების პროცესისათვის ხელისშემშლელი ფაქტორების არსებობის შესახებ ისაუბრეს და გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მობილურ ჯგუფს ცხინვალში მოღვაწეობის გაგრძელების თხოვნით მიმართეს.

1999 წლის 23 ივლისს წინანდალში გამართულ **შერეული საკონტროლო კომისიის** მეათე სხდომაზე მხარეებმა **შერეული სამშვიდობო ძალების** საქმიანობასთან და კონფლიქტის ზონის ეკონომიკური რეაბილიტაციის დაფინანსებასთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს, აგრეთვე გადაწყვიტეს, ევროკომისიის წარმომადგენლებისათვის **შერეული საკონტროლო კომისიის** ეკონომიკური ბლოკის საკითხებისადმი მიძღვნილ სხდომებში მონაწილეობის უფლება მიეცათ. მიიღეს რეკომენდაცია კომისიასთან მიწათსარგებლობის პრობლემების მოწესრიგების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.

1999 წლის 10-11 სექტემბერს დაბა ჯავაში ქართული და „სამხრეთ ოსური“ მხარეების სრულუფლებიანი დელეგაციების ექსპერტთა ჯგუფების მეორე შეხვედრაზე 30 მარტს ქ. მოსკოვში მიღებული კონფლიქტის სრულმასშტაბიანი დარეგულირების შეთანხმების (დეკლარაციის) პროექტი განიხილეს, რომლის რამდენიმე პუნქტი ორივე მხარემ მოიწონა, ხოლო დანარჩენი პუნქტების შეჯერება შემდგომი შეხვედრისათვის გადაიდო.

2000 წლის 31 მაისს მხარეთა სრულუფლებიანი დელეგაციების ექსპერტები მესამეჯერ შეიკრიბნენ დაბა ჯავაში, სადაც კონფლიქტის სრულმასშტაბიანი დარეგულირების დოკუმენტზე მუშაობა გააგრძელეს და შეთანხმების პროექტის 8 პუნქტი შეათანხმეს.

2000 წლის 10-13 ივლისს ავსტრიის დედაქალაქ ვენაში მხარეთა სრულუფლებიანი დელეგაციების ექსპერტთა ჯგუფების მეოთხე შეხვედრა შედგა, რუსეთის ფედერაციის, მათ შორის ჩრდილოეთ ოსეთის, და ეუთო-ს მონაწილეობით, რომელზეც კონფლიქტის სრულმასშტაბიანი დარეგულირების შეთანხმების პროექტზე მუშაობა გაგრძელდა, შეთანხმდა მისი 12 პუნქტი, თუმცა, მხარეთა სახელმწიფო-სამართლებრივი ურთიერთობების უმთავრესი საკითხები მოუგვარებელი დარჩა.

2000 წლის 17 ნოემბერს ქ. გორში ხელი მოეწერა ოქმს „მხარეთა სამართალდამცავი ორგანოების დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმიანობის შესახებ,“ რომლის საფუძველზეც ქართულმა და „სამხრეთ ოსურმა“ მხარეებმა კონფლიქტის ზონაში ერთობლივი 6 კაციანი საგამომიებო ჯგუფის შექმნა და მძიმე დანაშაულთა გასახსნელად ოპერატიულ-საგამომიებო საქმიანობის ერთობლივად წარმოება გადაწყვიტეს, მაგრამ საბოლოოდ ვერ შეთანხმდნენ, თუ რა პრინციპის საფუძველზე უნდა გადაეცათ დაკავებული ეჭვმიტანილები ან ერთი ან მეორე

მხარის სამართალდამცავი ორგანოებისათვის: დანაშაულის ჩადენის ადგილისა თუ ექვმიტანილის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

2000 წლის ნოემბერში რუსეთის ფედერაციამ საქართველოსთან სავიზო რეჟიმის შემოღების თაობაზე მოლაპარაკებები დაიწყო, ხოლო 30 ნოემბრის რუსეთის მთავრობის დადგენილებით, საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ მონაკვეთებზე საზღვრის გადაკვეთის ძველი რეჟიმი შენარჩუნდა, რამაც ქართული მხარის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

2000 წლის 23 დეკემბერს რუსეთისა და საქართველოს მთავრობებს შორის „ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ეკონომიკის აღდგენისა და ლტოლვილთა დაბრუნების საკითხებში თანამშრომლობის შესახებ“ ახალ შეთანხმებას მოეწერა ხელი, რომლის მიხედვითაც მხარეებმა აიღეს ვალდებულებები, კონფლიქტის ზონაში ეკონომიკის რეაბილიტაციისა და ლტოლვილთა დაბრუნების, დაბინავებისა და რეინტეგრაციის სახელმწიფოთაშორისო პროგრამები შეეძუშავებინათ. მხარეები შეთანხმდნენ ასევე, ამ მიზნების განსახორციელებლად საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან და სხვა ქვეყნებისაგან ინვესტიციებისა და კრედიტების მოზიდვაზე ეზრუნათ. ამას გარდა, საქართველოს მთავრობამ იკისრა ვალდებულება, აღედგინა ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთრების უფლება მათ აღრინდელ საცხოვრებელ ადგილებზე.

2001 წლის 4-6 აპრილს ქ. თბილისში (ტაბახმელაში) გამართულ **შერეული საკონტროლო კომისიის** ეკონომიკური საკითხების სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე მხარეებმა წინა წლის დეკემბერში რუსეთისა და საქართველოს მთავრობებს შორის „ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ეკონომიკის აღდგენისა და ლტოლვილთა დაბრუნების საკითხებში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმების რეალიზაციაზე დაიწყეს მუშაობა და ეკონომიკის აღდგენის ერთობლივი პროგრამის შემუშავების პრინციპები და შესრულების მექანიზმი ჩამოაყალიბეს.

2001 წლის 21 აპრილს **შერეული საკონტროლო კომისიის** მეთერთმეტე სხდომაზე მხარეთა სამართალდამცავი ორგანოების **სპეციალური საკოორდინაციო ცენტრის** შექმნა გადაწყდა, რომლის ძირითად ფუნქციებად დასახელდა:

- მხარეთა სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის კოორდინაცია კონფლიქტის ზონაში დანაშაულის პროფილაქტიკისა და აღკვეთის კუთხით;
- კონფლიქტის ზონაში დამნაშავეობასთან ბრძოლის ერთობლივი ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება;
- იარაღის, ტყვია-წამლისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების მოსახლეობიდან ამოღება;
- მძიმე დანაშაულის გახსნის მიზნით, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ერთობლივად წარმოება;
- ორგანიზებული დანაშაულის, ნარკობიზნესის, კონტრაბანდის, ყალბი ფულის გავრცელების, ადამიანებისა და ავტომობილების გატაცების წინააღმდეგ ერთობლივად ბრძოლა;
- ოპერატიული ვითარების ანალიზი და ინფორმაციის გაცვლა;

**სპეციალური საკოორდინაციო ცენტრი** ქართული და „სამხრეთ ოსური“ მხარეების სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლებით უნდა დაკოპლექტებულიყო და **შერეული სამშვიდობო ძალების** სარდალთან მჭიდრო კონტაქტში ყოფილიყო.

**შერეული საკონტროლო კომისიის** ამ სხდომაზე მხარეებმა ასევე გადაწყვიტეს, **შერეული საკონტროლო კომისიის** მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, კომისიის პლენარულ სხდომებს შორის მონაკვეთებში კომისიის თანათამჯვდომარეთა რეგულარული შეხვედრები გამართულიყო, რაც შემდგომში ხშირ პრაქტიკად გადაიქცა.

2001 წლის 22-23 აპრილს ქ. ვლადიკავკაზში მხარეთა სრულუფლებიანი დელეგაციების ექსპერტთა ჯგუფების მეხუთე შეხვედრაზე კონფლიქტის სრულმასშტაბიანი დარეგულირების ღონისძიებებზე მუშაობა გაგრძელდა, მაგრამ მნიშვნელოვანი წინსვლა არ მომხდარა.

2001 წლის 21 მაისს ქ. მოსკოვში „სამხრეთ ოსეთის“ დე ფაქტო ლიდერი ლუდვიგ ჩიბიროვი მოსკოვის მერს იური ლუჟკოვს შეხვდა და, საქართველოს ხელისუფლების გვერდის ავლით, მასთან სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის მემორანდუმზე მოაწერა ხელი.

2001 წლის 2 აგვისტოს **შერეული საკონტროლო კომისიის** თანათავმჯდომარეთა შეხვედრაზე მხარეები კონფლიქტის ზონაში ეკონომიკის აღდგენის ქართულ-რუსული სახელმწიფოთაშორისი პროგრამის პრიორიტეტულ მიმართულებებზე შეთანხმდნენ.

2001 წლის 14-19 სექტემბერს რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში მხარეთა სრულუფლებიანი დელეგაციების ექსპერტთა ჯგუფების მეექვსე შეხვედრაზე ძირითადად კონფლიქტის დარეგულირების ეკონომიკური საკითხები განიხილეს. ეუთო-ს წარმომადგენლებმა მხარეებს გააცნეს ევროკავშირის ქვეყნების მზადყოფნა, ფინანსური დახმარება გამოეყოთ კონფლიქტის ზონის ეკონომიკური რეაბილიტაციისათვის, რისთვისაც მხარეებმა დონორთა დახმარების მიღებისა და ეკონომიკის აღდგენის პროგრამის რეალიზაციისათვის ერთობლივი მექანიზმის შექმნის დაჩქარება გადაწყვიტეს.

2001 წლის 25 ოქტომბერს **შერეული საკონტროლო კომისიის** თანათავმჯდომარეთა შეხვედრაზე, ეუთო-ს დელეგაცია მხარეებს კონფლიქტის ზონის ეკონომიკური რეაბილიტაციის პროგრამის განხორციელებისათვის საორგანიზაციო თანხების გამოყოფას დაჰპირდა.

2002 წლის 14-15 მაისს ქ. ბორჯომში ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ადრინდელ საცხოვრებელ ადგილებზე ნებაყოფლობითი დაბრუნების ხელშეწყობის სპეციალური კომიტეტის შეხვედრაზე საქართველოს მთავრობამ „ქართულ-ოსური კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ლტოლვილთა, იძულებით გადაადგილებულ და სხვა დაზარალებულ პირთა ადრინდელ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე ნებაყოფლობითი დაბრუნების, კეთილმოწყობის, ინტეგრაციისა და რეინტეგრაციის პროგრამის“ პროექტი წარმოადგინა. იმავე დღეებში ქ. ბორჯომში **შერეული საკონტროლო კომისიის** თანათავმჯდომარეთა შეხვედრაზე, მხარეებმა თხონით მიმართეს გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატს, განეახლებინა კონფლიქტის ზონაში თავისი მობილური ჯგუფის საქმიანობა. ასევე მიიღეს გადაწყვეტილება, გააქტიურებულიყო კონფლიქტის ზონაში ეკონომიკის აღდგენის ერთობლივი ქართულ-რუსული პროგრამის შემუშავება.

2002 წლის 31 მაისს რუსეთის ფედერაციამ მიიღო კანონი მოქალაქეობის შესახებ, რომლითაც ყოფილი საბჭოთა კავშირის იმ მოქალაქეებს, ვისაც არცერთი სახელმწიფოს მოქალაქეობა არ ჰქონდა, რუსეთის მოქალაქეობის გამარტივებული წესით მიღების უფლება მიეცა. ამ პერიოდიდან მოყოლებული, რუსეთის ხელისუფლებამ „სამხრეთ ოსეთში“ (ისევე, როგორც აფხაზეთში) რუსული პასპორტების მასობრივად დარიცხვა დაიწყო.

2002 წლის 5 ივნისს ქ. ცხინვალში **შერეული საკონტროლო კომისიის** თანათავმჯდომარეთა შეხვედრაზე, მხარეებმა თხონით მიმართეს, საქართველოსა და რუსეთის მთავრობებს, მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტებში კონფლიქტის ზონის ეკონომიკური რეაბილიტაციის სახელმწიფოთაშორისი პროგრამისათვის თანხები გამოეყოთ.

2002 წლის 7 ივნისს ქ. თბილისში ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ადრინდელ საცხოვრებელ ადგილებზე ნებაყოფლობითი დაბრუნების ხელშეწყობის სპეციალური კომიტეტის შეხვედრაზე მხარეებმა, გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მონაწილეობით, **შერეული საკონტროლო კომისიისათვის** წარსადგენად „ქართულ-ოსური კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ლტოლვილთა, იძულებით გადაადგილებულ და სხვა დაზარალებულ პირთა ადრინდელ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე ნებაყოფლობითი დაბრუნების, კეთილმოწყობის, ინტეგრაციისა და რეინტეგრაციის რუსულ-ქართული სახელმწიფოთაშორისი პროგრამის“ საბოლოო ვარიანტი შეიმუშავეს.

2002 წლის 9 ივლისს ქ. მოსკოვში **შერეული საკონტროლო კომისიის** მორიგი სხდომა შედგა, რომელზეც მხარეებმა 10 წლის მანძილზე ჩატარებული სამუშაოს უკეთესად არქივირების მიზნით, კომისიის პლენარული სხდომებისა და კომისიის თანათამგჯლომარეთა შეხვედრების ოქმები გადანომრეს და აღნიშნული სხდომის ოქმს რიგით 23-ე ნომერი მიანიჭეს. სხდომაზე კონფლიქტის ზონის ეკონომიკის აღდგენისათვის რუსულ-ქართული სახელმწიფოთაშორისო აღმასრულებელი ორგანოს შექმნის, მისი დაკავშირების, **შერეული საკონტროლო კომისიის** წინაშე პასუხისმგებლობისა და მუშაობის პრინციპებზე, ასევე ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ადრინდელ საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნების პროგრამის მიმდინარეობაზე იმსჯელეს.

2002 წლის 14 ივლისს **შერეული სამშვიდობო ძალების** ქართულმა ბატალიონმა არ მიიღო მონაწილეობა სოჭის შეთანხმების 10 წლის იუბილისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაში, რის გამოც 30 ივლისს ქ. ცხინვალში **შერეული საკონტროლო კომისიის** საგანგებო სხდომაზე **შერეულმა სამშვიდობო ძალების** სადღობამ ქართული მხარე შეთანხმებების დარღვევაში დაადანაშაულა.

2002 წლის 3-4 ოქტომბერს ქ. ცხინვალში მხარეთა სრულუფლებიანი დელეგაციების ექსპერტთა ჯგუფების მეშვიდე შეხვედრაზე ეუთო-ს მიერ შემდგომი შეხვედრის პორტუგალიაში მოწყობის საორგანიზაციო საკითხები შეთანხმდა, ხოლო 2002 წლის 26-29 ოქტომბერს პორტუგალიის ქალაქებში კასტელიო-ბრანკოსა და ლისაბონში ექსპერტთა ჯგუფების მერვე შეხვედრა გაიმართა, რომელზეც მხარეებმა კონფლიქტის დარეგულირების პროცესში წარმოქმნილ სირთულეებზე, კერძოდ მიღწეული შეთანხმებების არასრულად განხორციელებასა და რიტორიკის გამწვავებაზე ისაუბრეს, შექმნილი ვითარების გამოსასწორებლად რეკომენდაციები შეიმუშავეს და უცხოელ დონორთა მიერ კონფლიქტის ზონის რეაბილიტაციისათვის ფინანსური სახსრების გამოყოფას მიესალმნენ.

2003 წლის 9-10 თებერვალს ქ. ცხინვალში გამართულ **შერეული საკონტროლო კომისიის** სხდომაზე (ოქმი №26) ევროკომისიის დელეგაციამ მხარეებს კონფლიქტის ზონის ეკონომიკური რეაბილიტაციის პროგრამის გეგმები და დაფინანსებულ პროექტთა ნუსხა გააცნო.

2003 წლის 18 აპრილს ქ. ცხინვალში **შერეული საკონტროლო კომისიის** მშვიდობისა და მართლწესრიგის საკითხების სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე მხარეებმა კონფლიქტის ზონაში ბლოკ-საგუშაგოების განლაგების საკითხები განიხილეს, ხოლო „სამხრეთ ოსური“ მხარე **სპეციალურ საკოორდინაციო ცენტრში** ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების შეყვანის ინიციატივით გამოვიდა.

2003 წლის 14-16 მაისს ქ. გორში **შერეული საკონტროლო კომისიის** სხდომაზე (ოქმი №27) მხარეებმა მიიღეს რეკომენდაცია, საქართველოსა და რუსეთს შორის 2000 წელს ხელმოწერილი „ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ეკონომიკის აღდგენისა და ლტოლვილთა დაბრუნების საკითხებში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმების რეალიზაციის მიზნით, ქართულ-რუსული სამთავრობათშორისო მუდმივმოქმედი ორგანო ჩამოყალიბებულიყო, რომელშიც ორი სახელმწიფოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი სამინისტროები იქნებოდნენ წარმოდგენილნი, და ორივე სახელმწიფოს 2004 წლის ბიუჯეტში გამოყოფილიყო თანხა სარეაბილიტაციო პროგრამით გათვალისწინებული პროექტებისა და ამ ორგანოს საქმიანობის დასაფინანსებლად. ამავდროულად, მიიღეს გადაწყვეტილება, უახლოეს ერთ თვეში ევროკომისიის სარეაბილიტაციო პროგრამის ფარგლებში 1,3 მილიონი ევროს ღირებულების პრიორიტეტული პროექტების განსაზღვრის თაობაზე.

2003 წლის 16 ივნისს ქ. თბილისში გამართულ საკონსულტაციო შეხვედრაზე მხარეებმა ევროკომისიის სარეაბილიტაციო პროგრამის ფარგლებში, კონფლიქტის ზონაში ელექტროენერჯის, გაზომარაგების, წყალმომარაგებისა და კომუნალური მეურნეობის მიმართულებით დასაფინანსებელი პროექტების ნუსხა შეადგინეს. აღნიშნული ნუსხა 2003 წლის 23-26 ივნისს ქ. მოსკოვში **შერეული საკონტროლო კომისიის** სხდომაზე დამტკიცდა (ოქმი №28), რის შემდეგაც ევროკომისიამ ამ პროექტების დაფინანსება დაიწყო. ამავდროულად, ფერხდებოდა „კონფლიქტის ზონაში ეკონომიკის აღდგენისა და ლტოლვილთა დაბრუნების საკითხებში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმების განმახორციელებელი ქართულ-რუსული სამთავრობათშორისო ორგანოს ფორმირება.

2003 წლის 14-15 ივლისს ქ. ცხინვალში **შერეული საკონტროლო კომისიის** სხდომაზე (ოქმი №29) კომისიის მუშაობის ამსახველი ბიულეტენის გამოშვება გადაწყდა. „სამხრეთ ოსურმა“ მხარემ ქართულ სოფლებზე გამავალი ედისი-ცხინვალის წყალსადენზე „უკანონო“ მიერთებების არსებობის პრობლემა წამოჭრა. აქვე გაიმართა მხარეთა სრულყოფილებიანი დელეგაციების ექსპერტთა ჯგუფების მეცხრე შეხვედრა, სადაც ექსპერტებმა მათი მუშაობის მომავალ გეგმებზე ისაუბრეს.

2004 წლის 31 იანვარს კონფლიქტის დარეგულირების პროცესში მონაწილე მხარეებმა ევროკომისიის მიერ დაფინანსებული კონფლიქტის ზონის ეკონომიკური რეაბილიტაციის მესამე პროგრამის რეალიზაციის გეგმა შეიმუშავეს,\* რომელიც ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარებასა და რეგიონის ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენას ითვალისწინებდა.

2004 წლის 16 აპრილს ქ. ცხინვალში **შერეული საკონტროლო კომისიის** თანათავმჯდომარეთა შეხვედრაზე (ოქმი №30) მხარეებმა „კონფლიქტის ზონაში ეკონომიკის აღდგენისა და ლტოლვილთა დაბრუნების საკითხებში თანამშრომლობის შესახებ“ რუსეთ-საქართველოს შეთანხმების რეალიზაციის დაჩქარების აუცილებლობაზე ისაუბრეს და ორივე ქვეყნის მთავრობებს შესაბამისი მიმართვები გაუგზავნეს, ასევე მიიღეს გადაწყვეტილება **შერეული საკონტროლო კომისიის** ბიულეტენის გამოცემის დაწყების შესახებ.

2004 წლის 14 მაისს ქ. თბილისში **შერეული საკონტროლო კომისიის** თანათავმჯდომარეთა შეხვედრაზე (ოქმი №31) მხარეებმა სამართალდამცავ ორგანოთა **სპეციალური საკოორდინაციო ცენტრის** ამოქმედებასა და მასში პოლიციის საკითხებში ეუთო-ს ექსპერტის მონაწილეობაზე იმსჯელეს.

მას შემდეგ, რაც 2004 წლის 31 მაისიდან საქართველოს ხელისუფლებამ შიდა ქართლში ანტიკონტრაბანდული პოლიციური ოპერაცია განახორციელა, კონფლიქტის ზონაში ვითარება უკიდურესად დაიძაბა. 2 ივნისს ქ. ცხინვალში **შერეული საკონტროლო კომისიის** თანათავმჯდომარეთა საგანგებო შეხვედრის მიუხედავად, რომელზეც შექმნილი ვითარება განიხილეს (ოქმი №32), ივლისიდან კონფლიქტის ზონაში პერიოდული სროლები დაიწყო.

14-15 ივლისს ქ. მოსკოვში **შერეული საკონტროლო კომისიის** საგანგებო სხდომაზე (ოქმი №33) მხარეთა წარმომადგენლებმა ვითარების განმუხტვის შესაძლებლობებზე იმსჯელეს, თუმცა უშედეგოდ. 31 ივლისს ქ. ცხინვალში **შერეული საკონტროლო კომისიის** თანათავმჯდომარეთა შეხვედრაზე (ოქმი №35) მხარეები კონფლიქტის ესკალაციის შესაჩერებლად **შერეული სამშვიდობო ძალების** მიერ სოფლების თამარაშენსა და კეხვის შესასვლელებთან დამატებითი ბლოკ-საგუშაგოების შემოღებასა და საქართველოს ხელისუფლების მიერ აღდგენილი ერედვი-ხეთის შემოვლითი გზის პატრულირებაზე შეთანხმდნენ, თუმცა, ამის მიუხედავად კონფლიქტის ზონაში სროლებმა უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო.

13-14 აგვისტოს ქ. ცხინვალსა და სოფ. ერგნეთში გამართულ **შერეული საკონტროლო კომისიის** საგანგებო სხდომაზე (ოქმი №36) ქართულმა და „სამხრეთ ოსურმა“ მხარეებმა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას მოაწერეს ხელი, რომელიც წინა წლებში მიღებული შეთანხმებებით დაუშვებელი შეიარაღებული ფორმირებების კონფლიქტის ზონიდან გაყვანასაც ითვალისწინებდა და 14 აგვისტოს 00:00 საათზე უნდა შესულიყო ძალაში. ამასთან, დაამატეს **შერეული სამშვიდობო ძალების** საგუშაგოები სოფელ სარაბუკთან და ერედვი-ვანათის დამაკავშირებელ გზაზე. ქართულმა დელეგაციამ თხოვნით მიმართა ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, დახმარებოდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის **ზურაბ ჟვანიასა** და „სამხრეთ ოსეთის“ დე ფაქტო პრეზიდენტის **ელუარდ კოკოითის** შეხვედრის ორგანიზებაში.

\* ევროკომისიის სარეაბილიტაციო პროგრამის პირველი ეტაპი 1998-2001 წლებში განხორციელებულ 3,5 მილიარდი ევროს ღირებულების პროექტებს მოიცავდა, მეორე ეტაპი – 2001-2002 წლებში განხორციელებულ 1,5 მილიონი ევროს ღირებულების პროექტებს, მესამე ეტაპი – 2005-2007 წლებში განხორციელებულ 2,5 მილიონი ევროს ღირებულების პროექტებს, ხოლო მეოთხე ეტაპი, რომლის ფარგლებშიც 2 მილიონი ევრო უნდა დახარჯულიყო, 2007 წლის დეკემბერში დაიწყო და ვერ დასრულდა.

ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება არ შესრულდა, რის გამოც 18 აგვისტოს ქ. ცხინვალში **შერეული საკონტროლო კომისიის** თანათავმჯდომარეთა კიდევ ერთი შეხვედრა შედგა, რომელზეც რამდენიმე სტრატეგიულ სიმაღლეზე **შერეული სამშვიდობო ძალების** ახალი საგუშაგოების განლაგება გადაწყდა, მათ შორის ერედვი-ხეითის შემოვლით გზაზე. ამას გარდა, უნდა გაძლიერებულიყო **შერეული სამშვიდობო ძალებისა** და ეუთო-ს სამხედრო დამკვირვებლების მიერ კონფლიქტის ზონის მონიტორინგი. ამასობაში, შეიარაღებულმა დაპირისპირებამ უფრო მძიმე ფორმები მიიღო, რაც, საბოლოოდ, 19 აგვისტოს ქართული პოლიციური დანაყოფების მიერ თლიაყანის სიმაღლის აღებითა და 20 აგვისტოს, საქართველოს პრეზიდენტის **მიხეილ სააკაშვილის** განკარგულების თანახმად, აღნიშნული სიმაღლის **შერეული სამშვიდობო ძალებისადმი** გადაცემით დასრულდა.

2004 წლის 30 სექტემბერსა და 2 ოქტომბერს ქ. მოსკოვში **შერეული საკონტროლო კომისიის** სხდომაზე (ოქმი №38) მხარეებმა ცეცხლის შეწყვეტისა და შეიარაღებული ფორმირებების კონფლიქტის ზონიდან გაყვანის შეთანხმების შესრულების მიმდინარეობა და **ელუარდ კოკოითისა** და **ზურაბ ჟვანიას** შეხვედრის საორგანიზაციო საკითხები განიხილეს, **შერეული სამშვიდობო ძალების** ახალი სარდალი **მარატ კულანშეტოვი** დაამტკიცეს და ევროკომისიის მიერ დაფინანსებული კონფლიქტის ზონის ეკონომიკური რეაბილიტაციის მესამე პროგრამის რეალიზაციის დაწყებას მიესალმნენ.

2004 წლის 20 ოქტომბერს ქ. თბილისში **შერეული საკონტროლო კომისიის** თანათავმჯდომარეთა შეხვედრაზე (ოქმი №39) მხარეებმა კვლავ ცეცხლის შეწყვეტისა და შეიარაღებული ფორმირებების კონფლიქტის ზონიდან გაყვანის შეთანხმების შესრულებასა და ევროკომისიის მესამე სარეაბილიტაციო პროგრამის ფარგლებში შეჯერებული პროექტების შესრულების დაჩქარებაზე იმსჯელეს.

2004 წლის 5 ნოემბერს ქ. სოჭში საქართველოს პრემიერ-მინისტრის **ზურაბ ჟვანიასა** და „სამხრეთ ოსეთის“ დე ფაქტო პრეზიდენტის **ელუარდ კოკოითის** შეხვედრა შედგა, რუსეთის ფედერაციისა და ეუთო-ს წარმომადგენლების მონაწილეობით, რომელზეც მხარეებმა წუხილი გამოთქვეს სამშვიდობო პროცესის შეფერხების, აგვისტოში კონფლიქტის ესკალაციით გამოწვეული ადამიანური მსხვერპლის გამო და მიაღწიეს შეთანხმებას შემდეგ საკითხებზე:

- ბოლომდე შეესრულებინათ შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ;
- კონფლიქტის ზონის ეტაპობრივი დემილიტარიზაციის მიზნით, 20 ნოემბრამდე დაესრულებინათ კონფლიქტის ზონიდან ყველა შეიარაღებული ფორმირების გაყვანა, **შერეული სამშვიდობო ძალებისა** და სამართალდამცავი ორგანოების დანაყოფების გარდა;
- 20 ნოემბრამდე მხარეებს **შერეული საკონტროლო კომისიისათვის** წარმოედგინათ თავიანთი პოლიციური დანაყოფების რიცხოვნობა და საგუშაგოთა განლაგების სქემა;
- აღარ განეთავსებინათ კონფლიქტის ზონაში დამატებითი შეიარაღებული დანაყოფები და საგუშაგოები **შერეული საკონტროლო კომისიის** ინფორმირების გარეშე;
- მიეღოთ ზომები მხარეთა სამართალდამცავი ორგანოების **სპეციალური საკოორდინაციო ცენტრის** აღსადგენად;
- უზრუნველყვით კონფლიქტის ზონაში ტრანსკავკასიურ ავტომაგისტრალსა და სხვა გზებზე მგზავრებისა და ტვირთების შეუფერხებლად მოძრაობა;
- გაეღრმავებინათ ორმხრივი კონტაქტები როგორც უმაღლეს პოლიტიკურ, ისე სხვა დონეებზე;
- გაეგრძელებინათ ერთობლივ ეკონომიკურ პროექტებზე მუშაობა ეუთო-სა და ევროკავშირთან ერთად.

2004 წლის 19-20 ნოემბერს ქ. ვლადიკავკაზში **შერეული საკონტროლო კომისიის** სხდომაზე (ოქმი №40) მხარეებმა **ჟვანია-კოკოითის** შეთანხმების შემდგომ კონფლიქტის ზონაში განვითარებულ პოზიტიურ პროცესებზე ისაუბრეს, კერძოდ შეიარაღებული ფორმირებების ნაწილობრივ გაყვანასა და მათი **შერეული სამშვიდობო ძალებით** ჩანაცვლებაზე, ასევე საფორტიფიკაციო ნაგებობების დემონტაჟსა და ტერიტორიების განაღობაზე. თუმცა, აქვე აღინიშნა, რომ კონფლიქტის ზონაში კვლავ დარჩენილი იყო **შერეულ საკონტროლო კომისიასთან** შეუთანხმებელი შეიარაღებული დანაყოფები და ბლოკ-საგუშაგოები, რაც დაძაბულობის განმუხტვას ხელს უშლიდა. ქართულმა და „სამხრეთ ოსურმა“ დელეგაციებმა ამ კუთხით თავიანთი პრეტენზიები გამოთქვეს. გადაწყდა სამშვიდობოთა დამატებითი საგუშაგოებისა და დარჩენილი ფორტიფიკაციების დემონტაჟის გრაფიკის შედგენა. სხდომაზე სიტყვით გამოვიდა ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური **ალექსანდრე ძასოხოვი**, რომელმაც ეკონომიკური ხელშეწყობის ზონის შექმნის წინადადება წამოაყენა, სადაც მისი აზრით, ჩრდილოეთ ოსეთის ალაგირის რაიონი, „სამხრეთ ოსეთი“ და გორის რაიონი უნდა გაერთიანებულიყო. შეხვედრის მონაწილეები **შერეული საკონტროლო კომისიის** ბიულეტენის:გამოცემის დაწყებასაც მიესალმნენ.

2004 წლის 22-23 დეკემბერს **შერეული საკონტროლო კომისიის** თანათავმჯდომარეები ქ. თბილისში შეიკრიბნენ და საქართველოს პრემიერ-მინისტრს **ზურაბ ჟვანიასაც** შეხვდნენ (ოქმი №41). საუბრის ძირითადი თემა სამშვიდობო პროცესში წარმოქმნილი სირთულეები იყო. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ არ სრულდებოდა **ჟვანია-კოკოითის** 5 ნოემბრის შეთანხმების პირობები, კერძოდ არ გრძელდებოდა კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაცია და საფორტიფიკაციო ნაგებობების დაშლა, ბლოკირებული იყო მოძრაობა ძირითად გზებზე, რაც ხელს უშლიდა ჰუმანიტარული დახმარების დარიგებასა და ეკონომიკური რეაბილიტაციის პროგრამის განხორციელებას. შეხვედრის მონაწილეებმა სურვილი გამოთქვეს, განახლებულიყო კონტაქტები მხარეთა სამართალდამცავ ორგანოებს შორის.

2005 წლის 16-17 მარტს ქ. მოსკოვში **შერეული საკონტროლო კომისიის** თანათავმჯდომარეთა შეხვედრაზე (ოქმი №42) მხარეებმა კონფლიქტის ზონაში შექმნილ დაძაბულ ვითარებაზე, კერძოდ საფორტიფიკაციო ნაგებობების დემონტაჟის დაბალ ტემპზე, ტვირთებისა და ტრანსპორტის მოძრაობის შეზღუდვასა და კონფლიქტის ზონის სიანლოვეს სამხედრო სწავლებების ჩატარებაზე ისაუბრეს, აგრეთვე შეუთანხმებელი საგუშაგოების გაუქმების, ტრანსკავკასიური საავტომობილო მაგისტრალის გახსნის, სამართალდამცავ ორგანოთა **სპეციალური საკოორდინაციო ცენტრის** აღდგენისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის **ზურაბ ნოღაიდელისა** და „სამხრეთ ოსეთის“ დე ფაქტო პრეზიდენტის **ელუარდ კოკოითის** შეხვედრის მომზადების ინიციატივით გამოვიდნენ. ქართულ მხარეს **შერეული სამშვიდობო ძალების** ქართული ბატალიონის როტაციის შესაბამის ვადებში განხორციელება და სოფ. ძევერაში რეზერვისტთა მომზადების ცენტრის გაუქმება, საქართველო-რუსეთის სამთავრობათშორისო კომისიას კი „კონფლიქტის ზონაში ეკონომიკის აღდგენისა და ლტოლვილთა დაბრუნების საკითხებში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმების რეალიზაციის დაჩქარება ეთხოვა.

2005 წლის 24 მარტს საქართველოს ხელისუფლებამ „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების ინიციატივა წარმოადგინა, რომლის თანახმადაც:

- კონფლიქტის ორივე მხარეს უარი უნდა ეთქვა ძალის გამოყენებაზე;
- საქართველოს ხელისუფლება სრულად კისრულობდა სოციალურ ვალდებულებებს „სამხრეთ ოსეთის“ მოსახლეობის წინაშე;
- ამოქმედდებოდა 1990-1992 წლების კონფლიქტში დაზარალებული მოსახლეობის მიმართ ქონებრივი რესტიტუციის კანონი, ყველა დაზარალებულ ოჯახს მიეცემოდა ერთჯერადი ფულადი კომპენსაცია;
- საქართველოს ხელისუფლება გადაუხდიდა „სამხრეთ ოსეთის“ მოსახლეობას 1991 წლის შემდეგ დაგროვილ საპენსიო დავალიანებას და ამიერიდან თავის თავზე აიღებდა რეგიონის ყველა მაცხოვრებლის პენსიებითა და სოციალური შეღავათებით უზრუნველყოფას;

- „სამხრეთ ოსეთი“ აღდგებოდა კონფლიქტის დაწყებამდე დაფიქსირებულ საზღვრებში, ცხინვალის, ჯავის, ზნაურისა და ახალგორის რაიონების ჩათვლით;
- „სამხრეთ ოსეთს“ მიენიჭებოდა ავტონომიური ერთეულის სტატუსი საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში;
- „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიის ხელმძღვანელი იქნებოდა „სამხრეთ ოსეთის“ მეთაური, რომელსაც რეგიონის ტერიტორიაზე საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნების საფუძველზე აირჩევდნენ;
- „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიას ეყოლებოდა თავისი პარლამენტი, რომელსაც ასევე თავისუფალი და პირდაპირი არჩევნების გზით აირჩევდნენ;
- „სამხრეთ ოსეთს“ ექნებოდა ფართო ადგილობრივი თვითმმართველობა. მოსახლეობა აირჩევდა რაიონების, ქალაქების, სოფლებისა და სოფლის საკრებულოების ხელმძღვანელებსა და ადმინისტრაციას;
- ეთნიკური ოსები „სამხრეთ ოსეთიდან“ ფართოდ იქნებოდნენ წარმოდგენილი საქართველოს სახელმწიფო უწყებებში. „სამხრეთ ოსეთს“ ეყოლებოდა წარმომადგენლობა საქართველოს პარლამენტში, ანუ ავტონომიაში აირჩევდნენ დეპუტატთა გარკვეულ რაოდენობას. „სამხრეთ ოსეთი“ ასევე წარმოდგენილი იქნებოდა საქართველოს სასამართლო და კონსტიტუციური მართლმსაჯულების ორგანოების საქმიანობაში;
- „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზე ოსურ ენას ოფიციალური ენის სტატუსი მიენიჭებოდა, სახელმწიფო ენასთან ერთად. გარანტირებული იქნებოდა განათლების მიღება ოსურ ენაზე. განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებს „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიის მთავრობა გადაწყვეტდა;
- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან რეგიონში დაფინანსდებოდა ოსური ტელევიზია, რადიო, ბეჭდვითი მედია, ოსური კულტურისა და ისტორიის დაცვის ღონისძიებები;
- საქართველოს ხელისუფლება უზრუნველყოფდა რეგიონის ეკონომიკურ რეაბილიტაციასა და გამოყოფდა სათანადო თანხებს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სასიცოცხლო მნიშვნელობის ინფრასტრუქტურის (საავტომობილო გზების, რკინიგზის, ელექტროგადამცემი ხაზების, გაზსადენის, კავშირგაბმულობისა და ტელე-რადიო მაუწყებლობის) აღსადგენად;
- საქართველოს ხელისუფლება რეგიონში განახორციელებდა ეკონომიკური აღორძინების მიზნობრივ პროგრამებს, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისა და დასაქმების წყაროების შექმნის მიზნით;
- დაფუძნდებოდა „სამხრეთ ოსეთის“ ეკონომიკური მხარდაჭერის ფონდი, რომელშიც დაგროვდებოდა თანხები საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და საერთაშორისო ღონისძიებების შემოწირულობების ხარჯზე. ფონდის მართვა განხორციელდებოდა ერთობლივად საქართველოს ცენტრალური და „სამხრეთ ოსეთის“ მთავრობების მიერ, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით;
- საქართველოს ხელისუფლება მზადყოფნას გამოთქვამდა, განეხილა „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზე სპეციალური ეკონომიკური ზონის შექმნის საკითხი;
- კონფლიქტის დარეგულირების პროცესში გამოცხადდებოდა სამწლიანი გარდამავალი პერიოდი, რომლის მიმდინარეობის ზედამხედველობასაც საერთაშორისო ორგანიზაციები განახორციელებდნენ;

- გარდამავალ ეტაპზე შეიქმნებოდა საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდის ქვეშ მოქმედი შერეული ქართულ-ოსური პოლიცია/მილიცია, რომელიც რეგიონში მოქალაქეების უსაფრთხოებასა და გადაადგილების თავისუფლებას უზრუნველყოფდა, ასევე დაფუძნდებოდა ერთობლივი კომისია სამხედრო დანაშაულების გამოსაძიებლად;
- საქართველოს ხელისუფლება მიაღწევდა საქართველო-რუსეთის საზღვრის „სამხრეთ ოსეთის“ მონაკვეთზე ადგილობრივი მოსახლეობისათვის გამარტივებული სასაზღვრო რეჟიმის დაწესებას – „სამხრეთ ოსეთის“ მოსახლეობის ჩრდილოეთ ოსეთის მიმართულებითა და პირიქით თავისუფლად გადაადგილებას;
- საქართველოს ხელისუფლება ხელს შეუწყობდა ყველა იმ პირის დაბრუნებას, რომელსაც კონფლიქტის შედეგად დატოვებული ჰქონდა საქართველო, და დაბრუნების მსურველ ყველა პირს განსახლებისათვის საჭირო ფინანსურ დახმარებას გაუწევდა.

აღნიშნული ინიციატივის ძირითადი პუნქტები საქართველოს პრეზიდენტმა **მიხეილ სააკაშვილმა** უფრო ადრე, 2004 წლის სექტემბერში გაერო-ს გენერალური ასამბლეის 59-ე სესიაზე, ხოლო 2005 წლის იანვარში ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე წარმოადგინა.

2005 წლის 30-31 მაისს ქ. ცხინვალში **შერეული საკონტროლო კომისიის** საგანგებო სხდომაზე (ოქმი №43) სოფ. თამარაშენში 29 მაისს მომხდარი შეიარაღებული ინციდენტი განიხილეს, რომლის დროსაც „სამხრეთ ოსეთის“ ე.წ. „სახალხო ლაშქრის“ ხუთი წევრი დაიღუპა. კომისიის ქართულმა და „სამხრეთ ოსურმა“ დელეგაციებმა ინციდენტის ურთიერთსაწინააღმდეგო ვერსიები და შეფასებები წარმოადგინეს. მიუხედავად ამ უსიამოვნებისა, სხდომაზე ეკონომიკური საკითხებიც განიხილეს. კომისიის წევრები მიესალმნენ საქართველოს ხელისუფლების მზადყოფნას, კონფლიქტის ზონაში აღდგენითი სამუშაოებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 700 000 ლარი გამოეყო, და ეუთო-ს მიერ წარმოდგენილი „ქართულ-ოსური კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ტერიტორიებზე საჭიროებათა შეფასების კვლევის“ კონცეფციას გაეცნენ. სხდომაზე ტრანსკავკასიური ავტომაგისტრალის გახსნისა და მასზე ბლოკ-საგუშაგოების შემცირების რეკომენდაციაც შეიმუშავეს.

2005 წლის 22-23 ივნისს ქ. მოსკოვში **შერეული საკონტროლო კომისიის** თანათავმჯდომარეთა შეხვედრაზე (ოქმი №44) კონფლიქტის ზონაში 29 მაისის ინციდენტის შემდგომ შექმნილ დაძაბულ ვითარებაზე ისაუბრეს, კერძოდ 6 ივნისს 4 ქართველი მშვიდობიანი მოქალაქის გატაცებასა და უგზო-უკვლოდ გაუჩინარებაზე, ასევე ერთი ქართველი მშვიდობიანი მოქალაქისა და რუსული სამშვიდობო ბატალიონის ერთი წევრის ნაღმზე აფეთქებაზე. ამ და სხვა ინციდენტების გამოსაძიებლად, სხდომაზე დამსწრე ქართული და „სამხრეთ ოსური“ სამართლდამცავი ორგანოების ხელმძღვანელი რგოლის წარმომადგენლებმა ერთობლივი ოპერატიულ-საგამოძიებო ჯგუფის შექმნა გადაწყვიტეს, რომელშიც მათი თანამშრომლები უნდა შესულიყვნენ. სხდომაზე კვლავ დადგა საფორტიფიკაციო ნაგებობის დემონტაჟის, შეუთანხმებელი შეიარაღებული ფორმირებების გაყვანისა და ტრანსკავკასიურ ავტომაგისტრალზე ტრანსპორტის მოძრაობის აღდგენის საკითხები. მხარეებმა ძირითადად მოიწონეს ეუთო-ს მიერ წარმოდგენილი „ქართულ-ოსური კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ტერიტორიებზე საჭიროებათა შეფასების კვლევის“ კონცეფცია და მასში გარკვეული კორექტივები შეიტანეს.

2005 წლის 24-25 ოქტომბერს ქ. მოსკოვში **შერეული საკონტროლო კომისიის** სხდომაზე (ოქმი №45) უარყოფითად შეფასდა კონფლიქტის ზონაში ბოლო დროს მომხდარი ფაქტები: 20 სექტემბერს ქ. ცხინვალში „დამოუკიდებლობის დღისადმი“ მიძღვნილ სამხედრო აღლუმში მძიმე ტექნიკის მონაწილეობა და იმავე დღეს ქ. ცხინვალის მიმართულებით ნაღმტყორცნებიდან რამდენიმე გასროლის განხორციელება. სხდომის მონაწილეებმა მოიწონეს საქართველოს პრეზიდენტის **მიხეილ სააკაშვილის** ინიციატივა კონფლიქტის „სამ ეტაპიანი“ დარეგულირების შესახებ (1. კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაცია და ნღობის აღდგენა, 2. კონფლიქტის ზონის სოციალურ-ეკონომიკური რეაბილიტაცია და 3. პოლიტიკური დარეგულირება), და სამშვიდობო პროცესის ფარგლებში კონკრეტულ ღონისძიებებზე შესათანხმებლად საქართველოს პრემიერ-მინისტრის **ზურაბ ნოღაიდელისა** და „სამხრეთ

ოსეთის“ დე ფაქტო პრეზიდენტის ელუარდ კოკოთის შეხვედრის ორგანიზების იდეას კვლავ დაუჭირეს მხარი. სხდომაზე მიიღეს აგრეთვე გადაწყვეტილება, ქართული და „სამხრეთ ოსური“ სამართალდამცავი ორგანიზების პირველ პირებს შორის შეხვედრის მოწყობის შესახებ, რომელზეც კონფლიქტის ზონაში დამნაშავეობასთან ერთობლივად ბრძოლისა და **სპეციალური საკოორდინაციო ცენტრის** აღდგენის შესაძლებლობები განიხილებოდა. სხდომის მონაწილეებმა, რუსეთ-საქართველოს 2000 წლის 23 დეკემბრის შეთანხმების გათვალისწინებით, მოუწოდეს ორი ქვეყნის მთავრობებს, ეკონომიკური ხელშეწყობის ზონის კონცეფციის შემუშავება დაეწყოთ.

2005 წლის 11 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება კონფლიქტურ რეგიონებში შექმნილი ვითარებისა და სამშვიდობო ოპერაციების მიმდინარეობის შესახებ, რომელშიც დაგმო რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე სეპარატისტული რეჟიმების კრიმინალური საქმიანობის მხარდაჭერა და მათთვის სამხედრო, ფინანსური, ეკონომიკური და სხვა დახმარების გაწევა, რუსული პასპორტების მასობრივად ღარივება, საქართველოს სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით უვიზო მიმოსვლის რეჟიმის შენარჩუნება, სეპარატისტულ მთავრობებში უმაღლეს თანამდებობებზე, განსაკუთრებით კი ძალოვან უწყებებში, რუსეთის მოქალაქეების დანიშვნა, რუსეთის ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენელთა შეუთანხმებელი ვიზიტები ცხინვალსა და სოხუმში, და ა.შ. ამის საფუძველზე, საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებას რუსული სამშვიდობო ძალების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესწავლა დაევა, ხოლო პროცესის უარყოფითად შეფასების შემთხვევაში, საქართველოს პარლამენტი „სამხრეთ ოსეთს“ და აფხაზეთში სამშვიდობო ოპერაციების შეწყვეტის მოთხოვნით გამოვიდოდა.

2005 წლის ოქტომბრის ბოლოსათვის საქართველოს ხელისუფლებამ, „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების თავისივე ინიციატივის საფუძველზე, კონფლიქტის მოგვარების დეტალური და დროში გაწერილი გეგმა წარმოადგინა, რომელიც 2005-2006 წლების მანძილზე პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, სამართლებრივ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა სფეროებში შესათანხმებელ და გასატარებელ ღონისძიებათა გრძელ ნუსხას შეიცავდა. 2005 წლის 27 ოქტომბერს ქ. ვენაში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ზურაბ ნოღაიდელმა**, როგორც კონფლიქტის მოგვარების საკოორდინაციო ჯგუფის ხელმძღვანელმა, აღნიშნული გეგმა ეუთო-ს გააცნო, ხოლო 8 ნოემბერს გაერო-სა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს გაუგზავნა. 2005 წლის 5 დეკემბერს სლოვენის დედაქალაქ ლიუბლიანაში, ეუთო-ს მინისტრთა საბჭოს სხდომაზე, საქართველოს მთავრობის სამშვიდობო გეგმას 55 სახელმწიფომ, მათ შორის რუსეთის ფედერაციამ დაუჭირა მხარი, ხოლო 21 დეკემბერს აღნიშნულ გეგმას მხარდაჭერა გამოუცხადა ამერიკის შეერთებული შტატების სენატმა.

2005 წლის 15-16 ნოემბერს **შერეული საკონტროლო კომისიის** სხდომა ქ. ლიუბლიანაში გაიმართა (ოქმი №46), სადაც სიტყვით გამოვიდა ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარე, სლოვენის საგარეო საქმეთა მინისტრი დიმიტრი რუპელი. მან ასევე მოიწონა საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული კონფლიქტის მოწესრიგების სამ ეტაპიანი გეგმა და ქართულ და „სამხრეთ ოსურ“ მხარეთა შორის უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე შეხვედრის უახლოეს მომავალში გამართვის იმედი გამოთქვა. სხდომაზე ქართულმა და „სამხრეთ ოსურმა“ დელეგაციებმა ურთიერთგანსხვავებული პოზიციები დაიკავეს მრავალ საკითხთან დაკავშირებით, რომელთა შორის საყურადღებო იყო ქართული მხარის ინიციატივა **შერეული საკონტროლო კომისიის** ფორმატის გარდაქმნის, კერძოდ მასში ეუთო-ს სრულუფლებიან მხარედ ჩართვის თაობაზე, და „სამხრეთ ოსური“ მხარის ურყევი პოზიცია, კომისია არსებული ფორმით შენარჩუნებულიყო. მხარეებმა პრეტენზიები წაუყენეს ერთმანეთს კონფლიქტის ზონაში კომისიასთან შეუთანხმებლად შეიარაღებული ფორმირებების ყოფნის, უცხოეთიდან შეიარაღების მიღებისა და ქართული მხარის მიერ მომზადებული „ქართულ-ოსური კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ პირთა რესტიტუციისა და კომპენსაციის უფლების“ კანონპროექტის შესახებ, ხოლო რუსულმა მხარემ შემოიტანა წინადადება, უახლოეს მომავალში ქ. სოჭში რუსეთისა და საქართველოს სახელმწიფოს მეთაურების, ასევე „სამხრეთ ოსეთისა“ და ჩრდილოეთ ოსეთის ხელმძღვანელების მონაწილეობით, ოფიციალური შეხვედრა გამართულიყო.

2005 წლის 27-28 დეკემბერს ქ. მოსკოვში **შერეული საკონტროლო კომისიის** სხდომაზე (ოქმი №47) მხარეებმა თითქმის ყველა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ურთიერთსაპირისპირო პოზიციები დაიკავეს. ქართულმა დელეგაციამ იმის გათვალისწინებით, რომ „სამხრეთ ოსეთის“ დე ფაქტო ლიდერის **ედუარდ კოკოითის** მიერ 12 დეკემბერს წარმოდგენილი სამშვიდობო ინიციატივის ზოგიერთი ასპექტი, კერძოდ კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაცია, ეკონომიკური რეაბილიტაცია და შემდგომ პოლიტიკური დარეგულირება, იდენტური იყო საქართველოს პრეზიდენტის **მიხეილ სააკაშვილის** მიერ უკვე გამოთქმული სამშვიდობო წინადადებებისა, მხარეებს შესთავაზა კონფლიქტის პოლიტიკური დარეგულირების ბაზისად საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული სამშვიდობო გეგმა ელიარებინათ და ამ გეგმის ფარგლებში კონკრეტული ნაბიჯების შესათანხმებლად, ასევე ეკონომიკური ხელშეწყობის ზონის კონცეფციის შესამუშავებლად, **შერეულ საკონტროლო კომისიაში** ორი ახალი სამუშაო ჯგუფი შექმნილიყო. რუსულმა, „სამხრეთ ოსურმა“ და ჩრდილოეთ ოსურმა დელეგაციებმა კატეგორიული უარი განაცხადეს საქართველოს მთავრობის სამშვიდობო გეგმის კონფლიქტის დარეგულირების ბაზისად გამოყენებაზე და წამოაყენეს წინადადება **შერეულ საკონტროლო კომისიაში** სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბების შესახებ, რომელიც კონფლიქტის დარეგულირების ახალ ერთობლივ გეგმას შეიმუშავებდა და შემდგომ კომისიას განსახილველად წარუდგენდა. „სამხრეთ ოსურმა“ მხარემ უკმაყოფილება გამოხატა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა, მათ შორის თავდაცვის მინისტრის **ირაკლი ოქრუაშვილისა** და გენერალური შტაბის უფროსის **ლევან ნიკოლეიშვილის** მხრიდან განშირებული საომარი რიტორიკის გამო, ასევე დაგმო ქართველი სამართალდამცავების მიერ 2005 წლის 1 თებერვალს ქ. გორში განხორციელებულ ტერორისტულ აქტთან დაკავშირებით „სამხრეთ ოსეთში“ მცხოვრები სამი პირის დაკავება და მათი გათავისუფლება მოითხოვა. ამას გარდა, რუსეთის, „სამხრეთ ოსეთისა“ და ჩრდილოეთ ოსეთის წარმომადგენლებმა მკვეთრად გააკრიტიკეს ქართული დელეგაცია, როდესაც მან უარი თქვა საქართველოში ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელის **როი რივის** ინიციატივაზე, მხარეებს დაუყოვნებლივ მოეწერათ ხელი ძალის გამოუყენებლობისა და უსაფრთხოების გარანტიების უზრუნველყოფის ერთობლივ დეკლარაციაზე.

2006 წლის 15 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული **შერეული სამშვიდობო ძალების** მიერ მანდატის შესაბამისად ნაკისრი ვალდებულებების შესრულება მკვეთრად უარყოფითად შეაფასა, ხოლო რუსეთის ფედერაციის ქმედებებს საქართველოს ამ რეგიონის ანექსიის მცდელობა უწოდა, რის გამოც დაავალა საქართველოს მთავრობას, გადაედგა ნაბიჯები სოჭის 1992 წლის 24 ივნისის შეთანხმების გადახედვისა და **შერეული სამშვიდობო ძალების** ეფექტიანი საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციით ჩანაცვლების მისაღწევად, ასევე გაეაქტიურებინა მუშაობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და პარტნიორ ქვეყნებთან „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტის დარეგულირების ახალი სამშვიდობო ფორმატის შესამუშავებლად. საქართველოს პარლამენტის ამ დადგენილების საპასუხოდ რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმამ საქართველოს ხელისუფლება ანტირუსულ პოლიტიკასა და „სამხრეთ ოსეთში“ მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების მიმართ საფრთხის შექმნაში დაადანაშაულა.

2006 წლის 27-29 მარტს ქ. ვლადიკავკაზში **შერეული საკონტროლო კომისიის** სხდომაზე (ოქმი №48) ქართულმა და „სამხრეთ ოსურმა“ დელეგაციებმა კვლავ წაუყენეს ერთმანეთს პრეტენზიები კონფლიქტის ზონაში შეიარაღებული დანაყოფებისა და საფორტიფიკაციო ნაგებობის არსებობასთან დაკავშირებით. „სამხრეთ ოსურმა“ მხარემ კონფლიქტის ზონიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის შენაერთების გაყვანა მოითხოვა. მხარეები კომისიასთან 10 კაციანი სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბებაზე შეთანხმდნენ, რომელიც საქართველოს ხელისუფლების სამშვიდობო გეგმისა და „სამხრეთ ოსეთის“ დე ფაქტო ლიდერის ინიციატივების გათვალისწინებით, კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების ერთობლივ გეგმას შეიმუშავებდა. მხარეებმა საქართველოში ეუთო-ს მისიის მიერ მომზადებული „ქართულ-ოსური კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ტერიტორიებზე საჭიროებათა შეფასების კვლევის“ კონცეფციის ფარგლებში პრიორიტეტული პუნქტების გამოყოფა და მათ რეალიზაციაზე მუშაობის დაწყება გადაწყვიტეს. ეუთო-მ კვლავ წამოაყენა წინადადება, მხარეებს ძალის გამოუყენებლობის ერთობლივი დეკლარაცია მიეღოთ.

2006 წლის 11-13 მაისს ქ. ცხინვალში **შერეული საკონტროლო კომისიის** სხდომაზე (ოქმი №49) მხარეთა წარმომადგენლებმა ახალი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა დაამტკიცეს, რომელსაც კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების ერთობლივი გეგმის შეიმუშავება, ასევე ეუთო-ს მიერ რეკომენდებული ძალის გამოუყენებლობის ერთობლივი დეკლარაციის მომზადება დაევალა. ქართულმა მხარემ სხდომაზე დამსწრეებს კონფლიქტის ზონიდან

სამხედრო პოლიციის გაყვანის გადაწყვეტილების შესახებ ამცნო. მხარეებმა „ქართულ-ოსური კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ტერიტორიებზე საჭიროებათა შეფასების კვლევის“ დოკუმენტის საფუძველზე შერჩეული პრიორიტეტული ეკონომიკური პროექტების ნუსხა დაამტკიცეს, საქართველოში გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის ნავიდ ჰუსეინის მოხსენება მოისმინეს და კომისიასთან არსებული ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ადრინდელ საცხოვრებელ ადგილებზე ნებაყოფლობითი დაბრუნების ხელშეწყობის სპეციალური კომიტეტების მუშაობის აღდგენა გადაწყვიტეს. **შერეული საკონტროლო კომისიის** შემდეგი სხდომისათვის მხარეთა შინაგან საქმეთა მინისტრების შეხვედრის ორგანიზება დაიგეგმა.

2006 წლის 22 ივნისს ქ. ცხინვალში, **შერეული საკონტროლო კომისიის** სხდომის ფარგლებში (ოქმი №50), საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის **ივანე მერაბიშვილისა** და „სამხრეთ ოსეთის“ დე ფაქტო შინაგან საქმეთა მინისტრის **მიხეილ მინდავეის** შეხვედრა შედგა, რომელზეც, კონფლიქტის ზონაში შექმნილი დაძაბული ვითარების განმუხტვის მიზნით, სოფ. ავნევთან და სოფ. ფრისთან ბლოკ-საგუშაგოების მოხსნა გადაწყდა, ასევე მიიღწა შეთანხმება, კომისიასთან არსებულ მშვიდობის, უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის საკითხთა სამუშაო ჯგუფში მხარეთა სამართალდამცავ ორგანოებს შორის თანამშრომლობის ოქმის შესამუშავებლად და **სპეციალური საკოორდინაციო ცენტრის** აღსადგენად კონსულტაციები გაგრძელებულიყო. სხდომის მონაწილეებმა ერთხმად აღნიშნეს 14 ივნისს ბელგის დედაქალაქ ბრიუსელში გამართული დონორთა კონფერენციის დიდი მნიშვნელობა, რომელზეც ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის ეკონომიკური რეაბილიტაციის შემდგომი დაფინანსება გადაწყდა.

ამ პერიოდთან მოყოლებული, სამშვიდობო ფორმატში ცვლილებების შეტანის თაობაზე მხარეთა პოზიციების არდაახლოების გამო, **შერეული საკონტროლო კომისიის** მუშაობა ფაქტობრივად შეჩერდა, ხოლო კომისიის თანამჯდომარეთა შემდგომი კონტაქტები, რომლებმაც არასისტემატური ხასიათი შეიძინა, კონფლიქტის ზონაში გასშირებულ ინციდენტებზე რეაგირებით შემოიფარგლებოდა. ამავროდულად, მხარეები ცალ-ცალკე აგრძელებდნენ კონსულტაციებს უცხოელ პარტნიორებთან ევროკომისიის შესამე სარეაბილიტაციო პროგრამის ფარგლებში ეკონომიკური პროექტების განხორციელებისა და სხვა საკითხების შესახებ.

2006 წლის 18 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომლითაც დაავალა საქართველოს მთავრობას, დაეწყო აუცილებელი პროცედურები აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთის“ ყოფილ ავტონომიურ ოლქში მიმდინარე ე.წ. სამშვიდობო ოპერაციების შესაწყვეტად, რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების საქართველოს ტერიტორიიდან დაუყოვნებლივ გასაყვანად, სამშვიდობო ფორმატის შესაცვლელად და ორივე კონფლიქტის ზონაში საერთაშორისო პოლიციური ძალების ჩასაყენებლად.

2006 წლის 12 ნოემბერს „სამხრეთ ოსეთის“ ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე სეპარატისტული საპრეზიდენტო არჩევნებისა და დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმის პარალელურად, რომელშიც მონაწილე ამომრჩევლებმა ხელახლა აირჩიეს „სამხრეთ ოსეთის“ დე ფაქტო პრეზიდენტად **ედუარდ კოკოთი** და მხარი დაუჭირეს „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობას, საქართველოში დარეგისტრირებული არასამთავრობო ორგანიზაციის „ოსთა ხსნის კავშირის“ ორგანიზებით, „სამხრეთ ოსეთის“ ალტერნატიული საპრეზიდენტო არჩევნები და რეფერენდუმი ჩატარდა, რომელშიც მონაწილე ამომრჩევლებმა „სამხრეთ ოსეთის“ დე ფაქტო პრეზიდენტად სეპარატისტული ხელისუფლების ყოფილი პრემიერ-მინისტრი **დიმიტრი სანაკოევი** აირჩიეს და საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან რეგიონის ავტონომიური სტატუსის შესახებ მოლაპარაკებების დაწყებას დაუჭირეს მხარი. რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმამ, 4 დეკემბერს გაკეთებული განცხადებით, სეპარატისტული არჩევნები და რეფერენდუმი რეგიონის მოსახლეების ნების კანონიერ გამოხატულებად ცნო და რუსეთის მთავრობას „სამხრეთ ოსეთთან“ მიმართებაში პოლიტიკის ფორმირება სწორედ ამ ფაქტის გათვალისწინებით ურჩია.

2006 წლის 29 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „სამხრეთ ოსეთის ყოფილ ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ“, რომელიც 2007 წლის 1 იანვრიდან შევიდა ძალაში.

2007 წლის 13 აპრილს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „სამხრეთ ოსეთის ყოფილ ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისათვის სათანადო პირობების შექმნის შესახებ“, რომლითაც რეგიონის ტერიტორიაზე, საქართველოს იურისდიქციის სრულ აღდგენამდე, სახელმწიფო მმართველობის განსახორციელებლად დროებითი ადმინისტრაციული ერთეული შექმნის წესი და ამ ერთეულის ძირითადი ადმინისტრაციული ფუნქციები განსაზღვრა. ახალი ტერიტორიული ერთეულის ხელმძღვანელობის ფუნქციებში შევიდა:

- „სამხრეთ ოსეთის“ ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე სახელმწიფო მმართველობის განხორციელება დელეგირებული და საქართველოს პრეზიდენტის მიერ განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების ფარგლებში;
- „სამხრეთ ოსეთის“ ყოფილი ავტონომიური ოლქისათვის საქართველოს საზღვრებში ავტონომიური სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების წარმოება;
- თანამშრომლობა საქართველოს სახელმწიფო ორგანოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გასატარებლად;
- საერთაშორისო და ჰუმანიტარული პროექტების განხორციელების კოორდინაცია, ადგილობრივი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის ხელშეწყობა; და ა.შ.

2007 წლის 8 მაისს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინების საფუძველზე, საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება „სამხრეთ ოსეთის“ ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის შექმნის შესახებ, რომლის ხელმძღვანელად „სამხრეთ ოსეთის“ ალტერნატიულ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული **დიმიტრი სანაკოევი** დაინიშნა.

2007 წლის 23-24 ოქტომბერს ქ. თბილისში, ეუთო-ს მისიის ოფისში, **შერეული საკონტროლო კომისიის** სხდომა ჩატარდა, რომელზეც მხარეთა წარმომადგენლებმა ვერცერთ საკითხზე შეთანხმებას ვერ მიაღწიეს და ერთობლივ ოქმსაც კი არ მოაწერეს ხელი.

2008 წლის 6 მარტს რუსეთის ფედერაცია ოფიციალურად გამოვიდა დსთ-ის სახელმწიფოთა მეთაურთა 1996 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილებიდან, რომელიც ხელმძღვანელ სახელმწიფოებს აფხაზეთთან სამხედრო და ეკონომიკურ კავშირებს უკრძალავდა, ხოლო 21 მარტს რუსეთის სახელმწიფო დუმამ მიიღო დადგენილება, რომლითაც დაავალა რუსეთის აღმასრულებელ ხელისუფლებას, აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთში“ მცხოვრები რუსეთის მოქალაქეთა ინტერესების დასაცავად ყველა ზომა მიეღო და ამ ორი რეგიონის დამოუკიდებლობის ცნობის მიზანშეწონილობა განეხილა.

2008 წლის 3 აპრილს რუსეთის პრეზიდენტმა **ვლადიმერ პუტინმა** მხარდაჭერის ღია წერილი გაუგზავნა „სამხრეთ ოსეთისა“ და აფხაზეთის დე ფაქტო ლიდერებს **ედუარდ კოკოითსა** და **სერგეი ბაღაფშს**, ხოლო 16 აპრილს დაავალა რუსეთის მთავრობას, დაემყარებინა პირდაპირი კავშირები ამ ორი რეგიონის სეპარატისტულ მთავრობებთან.

2008 წლის 3 ივლისს „სამხრეთ ოსეთის“ დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელზე **დიმიტრი სანაკოევზე** ტერორისტული თავდასხმის შემდეგ კონფლიქტის ზონაში ვითარება უკიდურესად დაიძაბა, 29 ივლისიდან კი კონფლიქტის სწრაფი სამხედრო ესკალაცია დაიწყო. 7 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენელი, სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში **თემურ იაკობაშვილი** ქ. ცხინვალში ჩავიდა, რათა „სამხრეთ ოსური“ მხრიდან **შერეული საკონტროლო კომისიის** თანათავმჯდომარესთან **ბორის ჩოჩიევთან** გაემართა მოლაპარაკებები, მაგრამ ამ უკანასკნელმა შეხვედრაზე უარი განაცხადა და მის ნაცვლად **იაკობაშვილი** მხოლოდ **შერეული სამშვიდობო ძალების** სარდალს **მარატ კულანმეტოვს** ესაუბრა, რუსული მხრიდან **შერეული საკონტროლო კომისიის** თანათავმჯდომარე **იური პოპოვი** კი, რომელიც საგანგებოდ ამ მოლაპარაკებებში მონაწილეობის მისაღებად ჩამოფრინდა თბილისში, 7 აგვისტოს ცხინვალში საერთოდ არ გამოცხადდა.

2008 წლის 8-12 აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომი, საფრანგეთის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის შუამავლობით, რუსეთის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევისა და საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ ექვს პუნქტიანი შეთანხმების ხელმოწერით დასრულდა, რომლის თანახმადაც მეომარმა მხარეებმა აიღეს ვალდებულებები:

1. უარი ეთქვათ ძალის გამოყენებაზე;
2. დაუყოვნებლივ შეეწყვიტათ სამხედრო მოქმედებები;
3. უზრუნველყნოთ ჰუმანიტარულ დახმარების გაწევის თავისუფლება;
4. ქართული შეიარაღებული ძალები დაბრუნებულიყვნენ თავიანთი განლაგების ადგილებში;
5. რუსეთის შეიარაღებული ძალები დაბრუნებულიყვნენ საომარი მოქმედებების დაწყებამდე მათი განლაგების ხაზზე, ხოლო საერთშორისო მექანიზმის ამოქმედებამდე, განეზორციელებინათ უსაფრთხოების დამატებით ღონისძიებები (კონფლიქტის ზონების მიმდებარე ტერიტორიებზე);
6. დაეწყოთ საერთაშორისო დისკუსია „სამხრეთ ოსეთსა“ და აფხაზეთში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მისაღწევად.

2008 წლის 25 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის პარლამენტის ორივე პალატამ მიიღო დადგენილება, რომლითაც მოუწოდა რუსეთის პრეზიდენტს, ეცნო „სამხრეთ ოსეთისა“ და აფხაზეთის დამოუკიდებლობა. 26 აგვისტოს კი რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა „სამხრეთ ოსეთისა“ და აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების შესახებ ბრძანებულებას მოაწერა ხელი.

2008 წლის 28 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება „რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის შესახებ“, რომლის თანახმადაც საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი რუსეთის შეიარაღებული ძალები, მათ შორის ე.წ. სამშვიდობო ძალები, საოკუპაციო საჯარისო შენაერთებად, ხოლო „სამხრეთ ოსეთის“ ყოფილი ავტონომიური ოლქი და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებად გამოცხადდა.

## შერეული სამშვიდობო კომისიის თანათავმჯდომარეები

### *ქართული მხრიდან*

თენგიზ კიტოვანი (1992-1994 წწ.)

ირაკლი მენაღარიშვილი (1994-1996 წწ.)

ირაკლი მაჭავარიანი (1996-2004 წწ.)

გიორგი ხაინდრავა (2004-2006 წწ.)

მერაბ ანთაძე (2006-2007 წწ.)

დავით ბაქრაძე (2007 წ.)

დემიტრი მანჯავიძე (2007-2008 წწ.)

### *„სამხრეთ ოსური“ მხრიდან*

სერგეი ხეთაგუროვი (1992-1994 წწ.)

გერასიმ ხუგაევი (1994-1996 წწ.)

ბორის ჩოჩიევი (1996-1999 წწ.)

ლენონილ თიბილოვი (1999-2002 წწ.)

ბორის ჩოჩიევი (2002-2008 წწ.)

### *რუსული მხრიდან*

სერგეი შოიგუ (1992-1994 წწ.)

ნიკოლაი მედვედევი (1994-1996 წწ.)

გენადი მათიუშოვი (1996-1999 წწ.)

ვლადიმერ კოლმოგოროვი (1999-2001 წწ.)

მიხაილ მაიოროვი (2001-2004 წწ.)

ვალერი კენიაიკინი (2004-2006 წწ.)

იური პოპოვი (2006-2008 წწ.)

### *ჩრდილო ოსური მხრიდან*

თეიმურაზ კუსოვი (1994-2006 წწ.)

მურატ თხოსტოვი (2006-2008 წწ.)

დანართი 2

**შერეული სამშვიდობო ძალების სარდლები**

გენერალ-მაიორი ალექსეი მერკურიევი (1995-1996 წწ.)

გენერალ-მაიორი ვიაჩესლავ ნიკოლაევი (1996-1997 წწ.)

გენერალ-მაიორი იური იუროვი (1997-1998 წწ.)

გენერალ-მაიორი ანატოლი კრასოვსკი (1998-1999 წწ.)

გენერალ-მაიორი ევგენი ჩურაევი (1999-2001 წწ.)

გენერალ-მაიორი ვასილი პრიზემლინი (2001-2003 წწ.)

გენერალ-მაიორი სვიატოსლავ ნაბზლოროვი (2003-2004 წწ.)

გენერალ-მაიორი მარატ კულახმეტოვი (2004-2008 წწ.)